

2793  
2

7100


განათლებლის რესპუბლიკის გამცემი

საქართველოს სსრ



ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები

IV. რაფიკელ ერანსაძე



მუთაბაი

ქართველი მწიგნობრის წიგნი

1918

სილოვან სუნდაძე




Handwritten signature and the number 2-

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები

Handwritten text in a box: 2107, 63, 186

IV. წაფიელ ერისთავი



ქუთაისი

ქართველთა შორის წ.-კ. გამაერთ. საზოგადოების ქუთ. განუ. სტამბა.

1918

# რ ა ფ ი ე ლ მ რ ი ს თ ა ვ ი

(1824 წლის 1 აპრილი—1901 წლის 18 თებერვალი.)

რაფიელ მრისთავი დაიბადა ქახეთში, თელავის მაზრაში, სოფ. ჭისტაურში, 1824 წლის 1 აპრილს. ათ წლამდი რაფო მშობლების გვერდით იზღებოდა, მოყვარული დედ-მამის აღერსიანი მზრუნველობითა და მდიდარი ბუნებით გარემო-ცული.

მკვი არ არის, რომ მთიანი საგაზდილოს მშვენიერმა ბუნებამ რაფიელს სიყრმიდანვე ჩაუნერგა გონებაში საოცნებო სურათები, აღუცრთოვანა პოეტური წარმოდგენა და ჩაუსახა გულში სამშობლო ქვეყნისადმი აღტაცებული სიყვარული, რომელიც მან შემდეგში ისე ძლიერათ გამოხატა თავის ნაწერებში.

რაფიელის დედა, ნინო, იყო ავთანდილ ამილახვრის ასული, შინაურათ აღზდილი, მაგრამ ქართულ მწერლობაში საკმაოთ გაწაფული ქალი. მართული წერაკითხვა რაფომ დედის ხელმძღვანელობით შეისწავლა, ათი წლიდან კი მის აღზდაზე ზრუნვას გულმოდგინეთ მიყო ხელი მამამ ლავითმა, რომელსაც ნიეთიერი შეძლებაც ხელს უწყობდა.

ლავითმა პირველათ იგი რუსს ქრასნოსკულოვს მიაბარა, რომელიც მრისთავთა რამდენიმე ოჯახისაგან მასწავლებლათ იყო მიწვეული სოფელ ჭისტაურს. ქრასნოსკულოვი მალე საცხოვრებლათ თელავს გადავიდა—და რაფოც თან გადაყვა. ქრასნოსკულოვიდან ლავითმა რაფიელი თელავის სამაზრო სა-

სწავლებელში გადაიყვანა—და ცოტა ხანს შემდეგ მიაბარა ის შუამთის მონასტრის ბერს, შილადელფოს პიკნაძეს, რომელიც იმ დროში ქართული ენის ცოდნითა და სამასწავლებლო ასპარეზზე მოღვაწეობით ფრიად სახელგანთქმული იყო. ეს ბერი თავის მოწაფეებს სხვათა შორის ლექსთა თხზვაშიც ავარჯიშებდა—და პაწია ჩაფომ პირველათ აქ გამოიჩინა მოშირობის ნიჭი მცირე ლექსების შეთხზვით.

შუამთის შკოლიდან ჩაფიელი მამამ ბორს გადაიყვანა და რუსული ენის პრაქტიკულათ შესასწავლათ იქაურ ხაზინადარს პაჩერგინს მიაბარა. ორ წელს შემდეგ ჩაფიელი თფილისს გადაიყვანეს, სადაც ის ჯერ არზანოვისა და მერე მალტერის პანსიონში ცხოვრობდა და იქიდან ასე წოდებულს „**კეთილშობილთა სასწავლებელში**“ დადიოდა (ახლანდელი პირველი გიმნაზია). ამ სასწავლებლის კურსი ჩაფიელმა 1845 წელს შეასრულა, და თუმცა სწავლის გაგრძობა სწადდა, მაგრამ ავთომყოფობის მიზეზით რუსეთს წასვლა ვერ შესძლო.

„კეთილშობილთა სასწავლებლის“ კურსის დასრულებას შემდეგ ჩაფიელი ერთ წელიწადს თავისუფლათ ცხოვრობდა, 1846 წლიდან კი იწყება მისი სამსახური სხვადასხვა ასპარეზზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. პირველათ თუშ-შშავხევსურეთის ოლქის სამართველოში მსახურობდა თარჯიმნათ, შემდეგ თფილისში მთავარმართებლის კანცელარიაში მოხელეთ, იქიდან ჭუთაისის გუბერნატორთან გადავიდა საგანგებო მინდობილებათა უფროს მოხელეთ, შემდეგ ზუგდიდის მაზრის უფროსათ დაინიშნა, ერთხანს ოდიშის მართველობის საბჭოს წევრათ იყო, აგრეთვე ჭუთაისის საგუბერნიო მართველობის საბჭოს წევრათ—და ბოლოს ჭუთაისის მომრიგებელ

მოსამართლეთ დაინიშნა და ამ თანამდებობას 1870 წლამდე ასრულებდა. 1870 წელს რაფიელს იმავე თანამდებობაზე რაქას გადაყვანა დაუპირეს, მან ეს არ ისურვა—და სამსახურს თავი დაანება

1870 წლიდან 1881 წლამდე რაფიელ მრისთავი თფილისში ვექილობდა, 1881 წელს ვექილობასაც თავი დაანება და 1889 წლამდე სამსახურში აღარ ყოფილა, ამ წელს კი ქართულ გამოცემათა ცენზორათ დაინიშნა—და 1896 წელს ამ თანამდებობასაც თავი დაანება და მას შემდეგ სიკვდილამდე ქ. თელავში ცხოვრობდა.

1862 წელს პოეტმა, როცა იგი უკვე ხანში შესული იყო (38 წლისა), გაიცნო ზურიის თავადის ღვით მრისთავის ასული თეოდოსია, რომლის სილამაზემაც ძლიერათ იზიდა და მოხიბლა მისი გული; ქალის თანაგრძნობაზე დაეკვიანებულმა მკოსანმა თავის სათაყვანო საგანს უიმედო სიყვარულის გრძნობით სავსე ლექსი უძღვნა—„წრეს გადასული წრეში შემოსულს“—და მალე მოიპოვა კიდევაც თავადის ასულის თანაგრძნობა, და 1863 წლის 21 იანვარს დაქორწინდა მასზე. თეოდოსია 1891 წელს გადაიცვალა და ხუთი ასული დასტოვა.

რაფიელ მრისთავმა არა მარტო როგორც პოეტმა, არამედ როგორც ადამიანმაც—თანამედროვეთა საერთო სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახურა. სადაც კი უცხოვრია პოეტს, თავისი კეთილშობილურით, ლმობიერი ხასიათითა და უწყინარი ცხოვრებით ყველგან კეთილი სახელი და ტკბილი ხსოვნა დაუტოვებია. ამიტომ იყო, რომ 1895 წლის 22 ოკტომბერს, როცა რაფიელის 50 წლის იუბილე იდღესასწაულეს, მთელმა საქართველომ ერთი გულითა და ერთი სულით.

წრფელი ალტაცებით მიულოცა პოეტს ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა; ამიტომაც იყო, რომ გულწრფელი პატივით გააცილეს იგი უკანასკნელ ბინამდი—სოფელ ჭისტაურში გათხრილ საფლავამდი, სადაც დაკრძალეს 1901 წლის 25 თებერვალს (გადაიცვალა 18 თებერვალს).

რაფიელ მრისთავი ცნობილია არა მარტო ლექსებით, არამედ მწერლობის სხვა დარგების ნაწერებითაც. ამათ შორის საყურადღებოა პიესა „ბიძიასთან გამოხუმრება“, მოთხრობა „ნინო“ და სამეცნიერო ნაშრომი: „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან.“ რაფიელ მრისთავის რედაქციით გამოცემულია აგრეთვე საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომელშიც რაფიელმა თავისი საყურადღებო შენიშვნები ჩაურთო.

რაფიელ მრისთავი ცნობილია აგრეთვე, როგორც ძრილოვის არაკების მთარგმნელი; მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მისი თარგმანი ბევრათ უფრო დაბლა დგას თავისი ღირსებით, ვიდრე იმავე არაკების თარგმანი აკაკი წერეთლისა.

შველა ამ ნაწერს ეტყობა ნიჭი და სათანადო დაკვირვება; მაგრამ რაფიელი განსაკუთრებით თავისი ხალხური ლექსებით არის სახელოვანი.

### რაფიელ მრისთავის პოეტური ნაწარები.

რაფიელ მრისთავმა შიირების წერა ადრე დაიწყო, მაგრამ, მახტანგ ორბელიანის არ იყოს, საგულისხმო ნაწარმოებს წინაარსითაც და გარეგნობითაც მის ნაწერებში მხოლოდ მე-80 წლებიდან ვხვდებით, როცა მგოსანი თითქმის 60 წლის იყო.

მე-80 წლებამდე რაფიელის კალამი განსაკუთრებით ხორციელ სიყვარულსა და ღვინოს უგალობს. პოეტს ამ პერიოდში საკმაოდ აქვს ნათარგმნი უცხო მწერალთა ნაწარმოებები, რომელიც უმთავრესათ ეროტიული შინაარსისაა, — მაგალ. პუშკინისა, ლერმონტოვისა, ოგარევისა, ბრეკოვისა, მიცქევიჩისა, ბერანტესი და სხვების. ხოლო მე-80 წლებიდან მისი ლექსები უკვე სეროზული შინაარსისაც არის და გარეგნობითაც მათ მეტი პოეტური ხელოვნება და ღირსება ემჩნევათ.

უკანასკნელი პერიოდის ნაწერებში რაფიელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართველი ხალხის ცხოვრებას— როგორც წარსულს, ისე აწმყოსაც. **სამშობლოს სიყვარული და მშრომელი ხალხის კირვარამი** — აი ორი უდიდესი საგანი ამ დროის მისი პოეზიისა.

## 1. ს ა მ შ ო ბ ლ ო.

**პატრიოტული** შინაარსის ლექსი რაფიელს ძლიერ ცოტა დაუწეია, მაგრამ ამ ორიოდე ლექსშიც სამშობლოს სიყვარულის გრძნობა საკმაოდ ძლიერათ აქვს გამოხატული.

„ღედა-ენაში“ პოეტი ბუნების კანონით ასაბუთებს სამშობლო ენის უფლებას ხალხის ცხოვრებაში: როგორც ფრინველ-ცხოველებისათვის, ისე ადამიანებისათვისაც ბუნებას სხვადასხვა ენა შეუქმნია — და ყველა თავისებურათ ხატავს თავის გრძნობასა და აზრსაო:

„ტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,  
ბულბული— ყრუყინს, თევზი— კნავილსა,  
ქრავი უმანკო— მელის ზავილსა,  
ჭვრიტი— კიხვინსა, ბუზი— ბლავილსა!..  
ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა:—  
აქ ჩანს ბუნება და ღედა-ენა!“..

ამ დასაბუთების შესახებ შემდეგი უნდა ვსთქვათ. შირინ-ველთა და მხეცთა სამეფოშიც არის შესაძლებელი გაწრთვითა და ვარჯიშობით ერთი ოჯახობის ფრინველს თუ მხეცს მეორე ოჯახობის ზნეჩვეულება და მისებური გამოხმაურება შეასწავლოთ (მოიგონეთ, მაგალ., შოშია, თუთიყუში, ჩხიკვი და სხვ.), და ადამიანთა ცხოვრებაში ხომ მით უფრო შესაძლებელიც არის და ხალხთა შორის ურთიერთობისათვისაც საჭირო, რომ ერთი ერის შეილება სხვა ერების—რამდენისამე—ენა შეისწავლონ.

მაგრამ ჩვენი პოეტის დასაბუთება აქ იმ შემთხვევას შეეხება, როცა დამონებულ ხალხს მებატონე ერის მთავრობა მის ენაზე ლაპარაკსა და წერა-კითხვას უკრძალავს ცხოვრებაში და მის გადაგვარებას ლამობს.

სამშობლო ენის, დედა-ენის ნორმალური უფლება იმას მოითხოვს, რომ ყოველი ხალხის შვილმა უპირველესათ თავისი მშობლიური ენა შეისწავლოს ზედმიწევნით; ხოლო, რაც უცხო ენებს შეეხება, რამდენათაც დრო და ნიჭი შეძლებას მისცემს, რასაკვირველია, სხვა ერებისაც (განსაკუთრებით მეზობლისა და აგრეთვე კულტურულათ დაწინაურებული ერების) ენებიც უნდა შეისწავლოს.

ამ სახით, პოეტის მიერ მოყვანილი შედარება ხალხის შესახებ არ შეიძლება ისე გავიგოთ, თითქო, მაგალ., ქართველს არ შეეძლოს ან არ ევალებოდეს სხვა ერის ენის საფუძვლიანად შეთვისება: ერთი ერის ნიჭიერ შვილს ყოველთვის შეუძლია მეორე ერის (ხშირათ რამდენიმე ერისაც) ენის შესწავლა; მაგრამ ეს შესწავლა ისე უნდა ხთებოდეს, რომ დედა-ენას უპირატესობა ეძლეოდეს და ყმაწვილის განსწავლა და განვითარება დედა-ენის საშვლებით წარმოებდეს ოჯახშიც, შკოლაშიც და



საზოგადოებაშიც. მხოლოდ ამგვარი გზით შეიძლება ხალხის ბუნებრივი და უნაკლულო განვითარება და საკაცობრიო პროგრესის სათანადო წარმატება.

სამშობლოს სიყვარული რთული გრძნობაა, რომელსაც მრავალი ფესვი აქვს გაბმული ადამიანის არსებაში.

ადამიანის სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც იგი დაბადებულა და გაზდილა, სადაც ცხოვრობენ მისი მშობლები და ნათესავები, ტოლ-ამხანაგები და მახლობელი თუ შორეული ნაცნობნი, მასთან ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთნაირი ზნეჩვეულების მექონი ხალხი.

ამ სახით, ნორმალურ პირობებში ადამიანი სამშობლოსთან დაკავშირებულია თავისი დაბადებითა და აღზდით, მშობელთა (უმთავრესათ მამის) შთამომავლობით, დედ-მამისა და მათი წინაპრების და აგრეთვე მთელი მონათესავე ხალხის საერთო ენითა და ზნეჩვეულებით.

პრანორმალურ პირობებში შესაძლებელია ადამიანი ზევით დასახელებულს ზოგიერთ ჩხარეს მოკლებული იყოს, — მაგალითად, მონათესავე ხალხში იყოს დაბადებული, ხოლო უცხო მხარეში გაზდილი, ან უცხო მხარეში იყოს დაბადებულიც და გაზდილიც, შესაძლებელია მშობლიური ხალხის ენაც დაეიწყებულე ქონდეს, ან თავიდანვე უცხო ენაზე იყოს აღზდილი და მშობელთა ენა არ იცოდეს. — თუ ამისთანა გარემოებას დროებითი ხასიათი აქვს, იმ შემთხვევაში ამგვარი ადამიანის სამშობლოთ მაინც კიდევ მის მშობელთა და მათ წინაპართა საცხოვრებელი ქვეყანა ჩაითვლება; მაგრამ, თუ მისმა შთამომავლობამ უცხო ხალხში განაგრძო ცხოვრება და წინაპართა სამშობლოსთან ყოველივე კავშირი შესწყვიტა, ამგვარი

შთამომავლობა უკვე გადაგვარებულათ უნდა ჩაითვალოს—და მისი საშობლო ის მხარე იქნება, სადაც იგი ცხოვრებას განაგრძობს.

პრანორმალურია სამშობლოსთან დამოკიდებულება იმ ადამიანისაც, რომლის დედაც სხვა ხალხის შვილია, და არა იმისა, რომელსაც მამა ეკუთნის. ამ შემახვევაში საკითხსა სწვევტს დღევანდელი ცხოვრების კანონი, რომელიც პირდაპირ შთამომავლობას მამას აკუთნებს.

სამშოლოს სიყვარულის აღნიშნულ საფუძვლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადგილებს, სადაც ჩვენ სიყმაწვილე გავიტარებია. არ შეიძლება განსაკუთრებული გრძნობით არ უყვარდეს ადამიანს ის ადგილი, სადაც მას პირველათ აუღვამს ფეხი, ამოუღვამს ენა, მთელ სიყმაწვილეში ტოლ-ამხანაგებს შორის უთამაშია და უტიტიტინებია, სადაც თვალი და გული ტყე-ველისა და კლდე-ღრეებისა თუ მთა-გორებისათვის წეუჩევეია. სიყმაწვილის შთაბეჭდილება ძლიერათ იდგამს ფესვს ადამიანის მენსიერებაში—და ამიტომაც ჩვენი გონება, სული და გული იმ ადგილებთან არის განუყრელათ გადაწნული და შეს-სხლხორცებული, სადაც ჩვენი სიცოცხლე დაწყებულა და გაფურჩენილა.

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას სხვათა შორის რიც აძლიერებს, რომ აქ არიან დასაფლავებული ჩვენი წინაპრები, ჩვენი საყვარელი ნათესავები თუ მეგობარ-ნაცნობები—და ამიტომაც როგორც სიხარულის, ისე მწუხარების ჩვენი ფიქრები ამ ჩვეულ ადგილებს მარადის გარს უტრიალებს და გულში ეხვევა...

ძლიერია გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა—და ძლიე

რათ გამოხატა იგი რაფიელ მირისთავმა ლექსში „სანშობლო ხევსურისა“-ში. ხევსურს აქ უსაზღვროთ უყვარს თავისი „სამშობლო“, მაგრამ, როგორცა ჩანს, რაფიელის ხევსურის გონება ვერ ამაღლებულა იქამდე, რომ შეეთვისებია **სამშობლოს** ფართო ცნება: იგი სამშობლოთ მხოლოდ თავის სალკლდიან კუთხეს—ხევსურეთს სახავს; გაერთიანებული საქართველო კი, ეგ ჩვენი საერთო სამშობლო, მის გონებას შეგნებული არ აქვს—და ამიტომ იგი ამბობს:

„**ბარად** რა მომცე დიდება, ქონება უთვალავია, სასახლე  
ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,—არა ვინდომო ეგენი,  
არ მოკვდეს ჩემი თავია“—ო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელწოდება **საქართველო** შედარებით უახლოესი დროის ტერმინია, უძველეს დროში კი გაერთიანებული ჩვენი ხალხისა და ქვეყნის, სრულიად საქართველოს გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ტერმინები არ ყოფილა. ტერმინი **ივერია** საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის (აღმოსავლეთის) აღმნიშვნელი იყო. ძველ დროსაც აწსებობდნენ ქართლელნი, კახელნი, იმერნი, გურჯულნი, მეგრელნი და სხვ. (ძველებური სახელწოდებით ქართველი ტომები ყოფილან: **თუბალნი, მოსოხნი, კოლხნი, ქალიბნი, ტიბარენები, მაკრონები** და სხვ.), მაგრამ საერთო სახელწოდება არ იყო, და მათ მხარეებსაც **ჭართლი, ძახეთი, იმერეთი, ზურია, ოდიში** (მგრისი, სამეგრელო) ეწოდებოდა; ხოლო საერთო გეოგრაფიული ტერმინი არ ყოფილა.

ამ სახით, ძველათაც თითქო რაფიელის ხევსურის ფსიხოლოგია არსებულა---და თითოეული კუთხის მცხოვრები სამშობლოთ თავის კუთხესა სთვლიდა.

შოველ შემთხვევაში რაფიელის ლექსში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, როგორც გრძნობა, ქვეშაირტია და სინამდვილის გამომხატველი. ეს გრძნობა უანგაროა—და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს სამშობლო ქვეყნის სილამაზეს თუ სიმახინჯეს, არც იმას—ბედნიერი ვართ ჩვენ აქ თუ უბედური. ამიტომაც რაფიელის ხევისური სამართლიანათ ამბობს:

„არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“—ო.

შვილს საზოგადოთ უყვარს თავისი მშობელი და გამზდელი დედა, მაგრამ იმიტომ კი არ უყვარს, რომ უხვათ აწოვებდა იგი ძუძუს და ბლომათ ასხამდა პირში რძეს,—შესაძლებელია-დედის ძუძუ რძით ძალიან ღარიბიც იყოს, მაგრამ შვილს მაინც უყვარს დედა, რადგან დედამ სიყვარულით გულმკერდში ამოიზარდა იგი, გულში იხუტებდა დიდხანს, ეტრფოდა და ეალერსებოდა.

ასეთია სამშობლოსა და მისი შვილების ურთიერთობაც: ისიც დედაა ჩვენი, ისიც თავის ძუძუს გვაწოვებს და გვიალერსებს—და ამიტომაც რაფიელის ხევისური ამბობს:

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლებს სხვაზედა:

ორივ ტუბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა!...  
როგორც შფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“—ო.

„სამშობლო ხევისურისა“ — ში, მართალია, ძლიერი გრძნობაა

გამოხატული სამშობლოს სიყვარელისა, მაგრამ ეს გრძნობა მაინც განყენებულია, პლატონიურია. მეორე ლექსში, „ნეტა რას სტირი, დედილო“—ში, რაფიელი, სამშობლოს სიყვარულის რეალურათ, სინამდვილით განხორციელებულ გრძნობას გვიხატავს. აქ გამოყვანილია ახალგაზნა ქართველი,

რომელიც მტერთან ბრძოლაში სასიკვდილოთ დაუჭრიათ და თავზე დამტირალ დედას ასე ანუგეშებს:

„ნეტა რას სტირი, დედილო? რა დროს გლოვაა შეილისა?

ბულში მკრეს, ორგან გახვრიტეს ჩემი პერანგი შილისა...

ნეტა რას სტირი, დედილო? დეე აქ ვეგლო ლელოში:—

ხომ ვეღარ ნახავ ურჯულოს ვეღარსად საქართველოში!..“

რაფიელის პატრიოტული შინაარსის ლექსებს შორის აღსანიშნავია ისტორიული პოემა „ასპინძის ომი“, რომელიც თუმცა პოეტური ღირსებით არ არის შესანიშნავი, მაგრამ საყურადღებოა სამშობლოს სიყვარულის ძლიერი გრძნობის გამოხატულებით. ამ პოემაში სისწორით არის გადმოცემული, რომ რუსის მთავრობამ თვითონ წააქეზა ქართველები (მრეკლე მეფე) ოსმალებთან საბრძოლათ, და როცა ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი საქართველოს მოადგა (სოფელ ასპინძასთან, 1770 წ.), რუსის გენერალმა ტოტლებენმა ვერაგულათ უღალატა მრეკლეს: თანახმად თავისი მთავრობის ბძანებისა, უკან წაიყვანა რუსის ლაშქარი—და მრეკლე მეფე, ქაროველთა მცირედი ჯარით, პირში მისცა გაბრაზებულ მტერს. მრეკლეს ჩვეულებრივმა გამჭრიახობამ და ვაჟაკობამ მაინც კიდევ დაიხსნა საქართველო მძვინვარე მტრისაგან.

## 2. გლეხის ცხოვრება.

### ა. ხალხოსნური მიმართულება.

მე-80 წლებში რუსეთიდან ჩვენში გადმოვიდა ე. წ. „ხალხოსნური“ მიმართულება, რომლის მთავარი მიზანიც ის იყო, რომ ინტელიგენცია ხალხს დაახლოებოდა, ხალხში გაედანტულიყო, ხალხის ქირვარაში, ხალხის ცხოვრება შეესწავლა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ეზრუნა.

ამ მიმართულებას რუსეთში „ნაროდნიკობა“ (народничество) ეწოდა, ჩვენში კი — **ტეტიათა მოტრფიალობა**, ე. ი. დაბალის, გაუნათლებელი ხალხის (**ტეტეების**) ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

რუსეთში ეს მიმართულება 70-ე წლებში დაიწყო, ხოლო ჩვენში, როგორც ზევითაც ვსთქვით, მე-90 წლებში გადმოვიდა — და ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალენი“ შემოკრბენ ყურნალის „ჩმედის“ გარშემო, რომელიც 1881 წელს დაარსდა.

**რაფიელ მირისთავი** ამ დროს უკვე მოხუცებული იყო და მკადრო კავშირი ამ ახალგაზდობასთან არ ქონია; მაგრამ ექვი არ არის, რომ ცხოვრების ამ ახალმა მიმდინარეობამ მასში დიდი გულისხმიერობა აღსძრა და დააწერია ის ლექსები, რომელშიც გლეხის, მიწის-მუშა ხალხის ცხოვრება, სოფლის ღარიბი ხალხის ქირი და ღზინია გამოხატული.

რაფიელის გატაცებას ამ ფარგალში კიდევ იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ სამახურის გამო იგი დიდხანს ტრიალობდა ხალხში, ზედმიწევნით იცნობდა მის ცხოვრებას — და ახალმა მიმართულებამ აღსძრა მასში სურვილი თავის ლექსებში ხალხის გულის ძგერა და მაჯის ცემა დაესურათებია.

ამ დროიდან იწყება რაფიელის ნაყოფიერი პოეტური მოღვაწეობა — და მრავალი აქვს მას დაწერილი შინაარსითაც მდიდარი და გარეგნობითაც ლამაზი ლექსი, ხალხის ყოველდღიური ცხოვრების გამოხატველი.

## **ბ. ხალხის ეკონომიური ჩაზვრის მიზეზები**

(სიკვდილი, ბუნება, ბოროტი ადამიანები, უმიწობა).

ამ დროის ლექსებში პოეტი განსაკუთრებით ხალხის **ეკონომიურ გასაჭირს** გვისურათებს.

ზღეხისათვის, რაფიელის დაკვირვებით, უდიდეს სიმდიდრეს ხარი და მუშა ხელი შეადგენენ. ზღეხის ოჯახის მარჩენალი და გამხარებელი ეს ორია, და თუ ერთერთი გამოაკლდა ოჯახს, ეს უკანასკნელი უზომო მწუხარებაში ვარდება.

ზღეხს თანდილას ცალი ხარი მოკვდომია და ისე დასტირის, თიქო შვილი მოკვდომოდეს:

„მომიკვდა ხარი ზიშერა, მოკვდა, —გამიწყრა ღმერთია...

საღლა ვუშოვო მეუღლე... ცალიდა დამრჩა ერთია!“

ზიშერას წყალობით „იცილებდა იგი შიმშილს“, იმით „უძლოდა ქვეყანას“, იმით „არჩენდა ცოლ-შვილს“, —და ახლა ყველა ამ საშვალეზას მოკლებულია, რადგან ცალი ხარით ამ საკიროებას ვერ გაუძღვება.

რაფიელ მრისთავი ისე ცოცხლათ გვისურათებს ოჯახის ამ დანაკლისს, რომ მისი გადმოცემით არა თუ გლეხი, თვით ოზლათ დარჩენილი ხარი ირმაც კი შეძრწუნებულია:

„რა ვუყო შენს ცალს ირმასა, ვერ მავიკარე თივითა:

ღარბის თვალდაფეთებული, ყვირის ხარირემივითა“-ო,—

ამზობს გლეხი თანდილა.

მეუღლე ხარი და ოჯახის მარჩენალი მუშა, რაფიელის გადმოცემით, ერთისა და იმავე ღირსების არიან —და ამიტომაც მარჩენალი შვილის სიკვდილს ბებერი დედა ისე დასტირის, როგორც თანდილა —ზიშერას სიკვდილს. მკრივე შემთხვევაში მწუხარების მთავარ მიზეზათ ეკონომიური მხარეა ნაჩვენები, ე. ი. —რომ ოჯახი მარჩენალს კარგავს. როგორც გლეხი თანდილა, ისე დედაბერიც ამას მოთქვამს:

„ღაკვრავე ჩემი ხესია, კარგი მეურმე, მოამკალი!..

შინლა მომხედავს ბედკრულსა, ვინლა მომაწვდის მე ჯერსა,

შინლა დამარჩენს უძლურსა, გადაყრუებულ ბებერსა“?

(„ღედაბრის მოთქმა“).


ამ სახით, გლეხის ოჯახის ერთერთი მტერი—სიკვდილია, რომელიც უღრმოთ გამოაცლის ხოლმე მას მარჩენალ მუშას—ხარია ის თუ ადამიანი. მაგრამ სიკვდილი ყველას მტერია—და დიდსა და მცირეს, მდიდარსა და ღარიბს არ არჩევს, რაც დღი ხანია შოთა რუსთველმაც აღნიშნა თავის „მეფის-ტყაოსანში“:

„შერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი:

მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი“-ო;

ხოლო გლეხს, მიწის-მუშას კიდევ განსაკუთრებული მტრებიცა ყავს. ზღებს ის კი არ აწუხებს, რომ განუწყვეტლათ მუშაობს და დღესა და ღამეს ასწორებს, არამედ ისა, რომ „ყველა მას ჩამოკიდებია“ და მისი ოფლით მონაგარს ართმევნ. ამ მხრით არა თუ ბოროტი ადამიანები, არამედ ბუნებაც უსამართლობას ჩადის.—და ხან სეტყვითა და ხან გოლვით სარჩო-საბადებელს უნადგურებს.

„ნეტა რა წყალში ჩავეარდე, რით გამოვკვებო (კლდ-შეილი)?

ი დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი...  


ჰანა წამიხდა, რა ყანა!.. ავ თვალს არ ენახებოდა:

თავთავს ქვეშ იხნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა“-ო,—

მოთქვამს გლეხი ტეტია („ტეტიას მოთქმა“).

ასევე უმოწყალოთ ექცევა მიწის-მუშის ნაოფლარ ყანას გოლვაც:

„ჰპანება, ბული დვას,—უჭირს საბრალო ყანასა:—

მაჭირდა, გოლვას ვერავინ ვერ უძღვებს ამისთანასა“-ო,—

სტირის გვალვისაგან შეძრწუნებული გლეხი („გოლვა“).

ზღების მესამე მტერი, უძლიერესი მტერი—თვით ადამიანია, დაბალი ზნეობის ადამიანი, რომელიც თავისი ნივთიერი სარგებლობისათვის არავის დაინდობს, ვისაც კი—მოტყუებით იქნება თუ ძალით—მოერგვა.



ძველი რომაელები ამბობდენ: „აღამიანი ადამიანისათვის მგელიაო“—და ასეთ მგლობას უწევენ ქართველ გლეხს ჩარჩი-ვაჭარი, „ნათლია მამასახლისი“, გზირი და სხვები.

ლექსი „ბერუას ჩივილი“ აღმოსავლეთი საქართველოს გლეხობის ცხოვრებას გვიხატავს, რომლის მეურნეობაც, ფულის უქონლობისა გამო, სომხის ჩარჩი-ვაჭრებზეა დამოკიდებული: გლეხი ვაჭრისგან ფულს სესხულობს, კირნახულს უგირავებს, და როცა ვალის გადახდის დრო მოდის, უსინიღისო ვაჭარი გლეხის გულუბრყვილობით სარგებლობს, ატყუებს—და ვალის გასტუმრებას ერთხელ კი არ ჯერდება, მეორეთ ახთეინდება. ამ სიყალბეში ჩარჩი-ვაჭარს ხელს უწყობს გლეხისავე მეზობელი, მისი „ნათლია მამასახლისი“, რომელმაც მისი პირონი „ერთ თუნგ არაყში გაცვალა“.

ამიტომაც გლეხი ბერუა სასოწარკვეთით წუწუნობს და ჩივის:

რა ექნა, რა წყალში ჩავარდე, რით მოვიცილო კირია?

შველა მე ჩამომეკილა: მამასახლისი, გზირია“—ო!..

რა დიელო მრისთავს მიწის-მუშა ხალხი ყავს დახასიათებულა—და ამ ხალხის მთელი ინტერესი მიწასთან არის დაკავშირებული, რადგან მიწა მისი დედა, მისი მასახლოებელი, მისი მარჩენალი.

მიწის-მუშას უმიწოთ თავისი არსებობა ვერ წარმოუდგენია—და უდიდეს უსამართლობათ მიაჩნია, რომ მიწის მოხელესა და ოსტატს, მხენელ-მთესველს, თავისი ოჯახისა და ქვეყნის მარჩენალს მიწა საკმაოთ არ აქვს, ხშირათ სრულიადაც უმიწაწყლოა და სხვის ადგილ-მამულს მუშაობს ქირითა თუ ღალით:

3163

ქ. ქუთაისი

„მიწა ვარ ნიადაგ მენა, ბეჩავი, გლეხად შობილი;  
მიწაა ჩემი ღედ-მამა, ჩემი ძმა, ჩემი ღობილი“—ო,—

ამბობს გლეხი სესია („სესიას ფიქრები“).

„მ როგორ არი, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია:—  
მიწა სხვისაა, ვჭირაობ, შრომა კი მარტო ჩემია“—ო,—

ამბობს ბერუა („ბერუას ჩაფიქრება“).

სანამ მიწის მფლობელობა ასეთს არანორმალურ პირობებში იქნება ჩაყენებული, ცხადია—მიწის-მუშა კმაყოფილი ვერ იქნება თავისი ბედისა და მუდამ ადგილი ექნება იმისთანა დარტყენვას, როგორც ბერუასა და სესიას სიტყვებში მოისმის:

„მ შავი მიწა მაინც რომ საყილად არა მქონოდა,  
შავ სამარემდი—რა ვიცი—მე რალა დამაღონებდა!“.

(„ბერუას ჩაფიქრება“).

„შხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,—ე შრომა მაინც ფუტია:—  
ვერ გაღვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუტია“.

(„სესიას ფიქრები“).

## ბ. ხ ა ლ ხ ი ს ნ უ ზ ე შ ი

(კეთილი მეზობლები, ღმერთი, მცირედით დაკმაყოფილების გრძნობა).

ასეთია საერთოდ რაფიელის მიერ დასურათებული გლეხების ცხოვრება და ნღგომარეობა. სანუგეშო თითქო არაფერი უნდა იყოს იმათ ცხოვრებაში: განუწყვეტლო ოფლის ღვრა და შრომა, მიწისა და სარჩოს ნაკლებობა, ადამიანებისა და ბუნებისაგან ჩაგვრა და ღვენა...

შაკრამ არა: ჩვენი პოეტი საწყალსა და გაჭივრებულს ნუგეშს არ უკარგავს. მართალია, ცხოვრებაში ბევრია უკუღმართი და მოძმის შემწუხებელი, მჩაგვრელი ადამიანი, მაგრამ

ხალხში სინიდისიერი და კეთილი ადამიანებიც არიან—და რა-  
ფიელის მიერ დახატულს გაჭივრებულ გლენებსაც მათივე მე-  
ზობლები უჩნდებიან დამხმარეთა და მანუგეშებლათ.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ლექსი „**თინიას**  
მამითადი“. **თინია** მეტათ უპატრონო ადამიანი იყო, „ქვირვი-  
ოხერი“, რომელსაც ერთი დღის მიწისა და „წვითა და დაგ-  
ვით, ვაებით გამოზდილი“ პაწია შვილის მეტი არაფერი გააჩნდა.  
**მის** მღვდმარეობაში ბევრი მათხოვრობასაც დაიწყებდა და ლუკ-  
მა-პურისათვის კარიკარ ივლიდა, მაგრამ **თინია** და საზოგა-  
დოთ რაფიელის გლენები ენერგიის მექონი მშრომელი ხალხია  
—და **თინიამაც** შრომითა და გარჯით მოიპოვა სარჩო: მან  
ისარგებლა ხალხის ჩვეულებით—და მისი პაწია შვილის „მე-  
ხრეობაში“ მეზობლებმა მოუხნეს **თინიას** „ერთი დღის მიწა ნა-  
ოში“ და სათესლევ მისცეს; **თინამ**—

„მოთესა,—უცებ ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა ლვთის თვალი!..

**თავთავმა** თავი დახარა, ყველამ გალესა ნამგალი,—

**თინას** კი გული უსკდება: ვინ მისცა იმას მომკალი!..

**თუ** სანახევროდ სხვას მისცა, რაღა გასაყოფელი?

**თუ** არა—ღონე არა აქვს, მისი ღონეა სოფელი!..“

**ღა**, მართლაც, „სოფელი ღონიერია“, სოფელი ყველა-  
ფერის შემძლეა—და, თუ სოფელს სწადია, ხალხში მიმშლით  
არაეინ მოკვდება, განსაკუთრებით იმისთანა გამრჯელი, რო-  
გორიც **თინია** იყო.—**თინიამ**, ჩვეულებისამებრ, მამითადი  
(ნადი) მოიწვია—და მეზობლებიც

„ჰოვამათი, კიჟინით მოედნენ ქვრივის ყანასა...  
**თინა** მასპინძლობს გულუხვად, მოუტანია მკაღები,  
**მაწონი**, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები...  
**ცოტა** არ იყოს რცხენიან: ღვინო არა აქვს საწყაღსა...“

მაგრამ ზედიზედ უზიდავს მამითაღს წყაროს ცივს წყალს!..  
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია!  
მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის ამის ლხინია!..“

პოეტი ამ ლექსში საწყალი ადამიანის ცხოვრებას იმნაი-  
რათ გვესურათებს, რომ ცხოვრების კმაყოფილი მკითხველის  
გულში სიბრაღეულისა და შეწყალების გრძობას აღსძრავს,  
და თვით გაქვივებულის გულში—ტკბილ ნუგეშს. ნივთიერათ  
უზრუნველყოფილი მკითხველი საწყალი თინიას ცხოვრების  
სურათს რომ შეყურებს, უთუოთ იფიქრებს: **ღმერთო**, რა  
უპატრონოა—და თან მარჯვე და გამრჯელი! მოდი და ამის-  
თანა ხალხს ნუ მოუწყობ ხელსაო!.. და თვით თინიას კი, მა-  
მითადის გამასპინძლებაში გართულს, თავისი გაქვივება სულ  
დავიწყებია, ციბრუტივით ტრიალობს და ასე გონია, რომ  
„დღეს არის იმის ლხინია“!..

რამდენააუც უფრო შეგნებული აქვს ადამიანს თავისუფ-  
ლებისა და ეკონომიური თანასწორობის იდეა, მით უფრო  
გრძობს იგი უთანასწორობისა და პირადი დაჩაგვრის სიმწვა-  
ვეს. რაფიელის გლეხები, როგორცა ჩანს, იმდენათ შეგნებუ-  
ლი არ არიან, რომ ეგ სიმწვავე იგრძონ, და ამიტომაც თა-  
ვის მჩაგვრელებს წინააღმდეგობას ვერ უწყევნ, პროტესტს  
ვერ უცხადებენ—და მცირედი კმაყოფილება თუ გამოუჩნდათ  
ცხოვრებაში, იმისთვისაც ღმერთს მადლობას წირვენ. ღვთის  
მორწმუნე ადამიანი გაქვივების დროს ნუგეშისათვის ღმერთს  
მიმართავს ხოლმე—და რაფიელის გლეხებიც ასე იქცევიან:

„როცა მალატობს მზე-წვიმა და მომიცლება ყანები,  
შფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვენაცვალები“-ო,—

ამბობს ღვთის მოსავეი გლეხი ბერუა („ბერუას ჩაფიქრება“).

რაფიელ მრისთავის გლეხები საზოგადოთ ყველა სახესე

პატროსნებით, ლეთის მოსავი და მოშიშია, გამრჯელი—შრომის მოყვარე, ოჯახისა და ცოლ-შვილის მოყვარული. ბლები თედუა ტიპიური წარმომადგენელია რაფიელის გლახებისა:

„ის სიღარიბეს არ უთრთის, მაჯის იმედით სრულია, ებრძვის შავს მიწას დღითიდღე, ჯაფისგან მოქანცულია. სხვისი არ უნდა თედოსა, მოძმეს არ შეეცილება, სის რისხვას, ბატონის წყრომას ქედმოხრით ემორჩილება.“

ის „ქედმოხრით მორჩილება“ ბედისა და არსებული კანონისა ემყარება ძრისტეს მოძღვრებას, რომელიც ამბობს: „მიეციოთ კეისარსა კეისრისა და ლმერთსა ლეთისა“-ო, და აგრეთვე მეორე მოძღვრებას, რომლითაც ძრისტე თავის მოწაფეებს არა თუ მტრების წინააღმდეგობას უკრძალავდა, არამედ ეუბნებოდა: როდესაც მარჯვენა ყვრიმალს (ლოყას) გცემონ, მარცხენაც მიუშვირე საცემათო.

ის უკანასკნელი მოძღვრება—„ბოროტების უსურჩობა“—თვალსაჩინოთ განავითარა და გაავრცელა რუსეთის სახელოვანმა რომანისტმა და მოაზრემ ლეონ ტოლსტოიმ, და რაფიელ მრისთავიც ამასვე უმოდვრებს გლახობასა და საზოგადოთ დარიბ-ლატაკებს, წუთისოფლის ამ „ტვირთმძიმეთა და დამაშვრალთ:“

„შფოთს ნუ აუტებს ნურავის, ყველასთან იყავ ძმურადა: ლავს რომ ხარჯი მოჰყვება, შენ ის გეყოფა ჰურადა. თუ მეზობელი აგიტყდა, ჩქარობს და აგიღრინდება,— ლმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“-ო.

(„ღმერთი დიდია, ღარიბო“).

ამ სახით, როგორც ბრ. მრბელიანის მუშა ბოქულაძე, ისე რაფიელ მრისთავის გლახებიც სარწმუნოებაში, ლეთის განკარგულებაში პოულობენ უსამართლობით აღშფოთებული სულის დამამშვიდებელ სამართლიანობას.

მაგრამ რაფიელის გლახებს სხვა ნაგასყუდელიც აქვთ მწუხარე სულის მანუგეშებლათ: ეს არის ერთი—საკუთარი საყვარელი ცოლ-შვილი, და მეორე—„მცირესა ზედა კმაყოფილების“ გრძობა და ნიჭი.

ზღვები პაპანაქება სიცხესა და მძიმე შრომას დილიდან საღამომდე მით უფრო ადვილათ უძლებს, რომ საღამოს დარბიქობში თფილი გული, ტკბილი ალერსი უხვდება საყვარელი ცოლ-შვილისა. რაფიელმა მშვენიერათ გამოხატა სულიერი კმაყოფილება, ნეტარება იმ მიწის-მუშა გლახისა, რომელიც მთელ დღეს „პაპანებაში იკაკვებოდა“—და საღამოს ცოლ-შვილის ალერსიანი შეხვედრით განცხრომას ეძლევა. მეტათ დარბიბია მისი ვახშამი—მხოლოდ „მკადი და წყალი“, მაგრამ ეს დარბიბი ლუკაც აკმაყოფილებს მას, რადგან იგი ცოლ-შვილის სიყვარულით არის შეკახებული და შეზავებული, და ამიტომ გლახი—

„ამაყოზს ცოლით, ამაყოზს შვილით,  
ამაყოზს, რომ აქვს ბევრი ნამკალი.“

თუმცა აქ ნათქვამია, „ბევრი ნამკალით ამაყოზსო“, მაგრამ ერთი კაცის ნამკალი რაც უნდა ბევრი იყოს, რამდენიმე სულის სარჩენათ დიდ სიმდიდრეთ არ ჩაითვლება, და თუ გლახს იგი მაინც ბევრათ ეჩვენება, ეს იმიტომ არის, რომ თავისი შრომისა და ოფლის, თავისი მარჯვენის მოიხმედ გლახობა „მცირესა ზედა კმაყოფილებას“ არის მიჩვეული—განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ოჯახში სიყვარული და ალერსი ეგულება.

რაფიელ მრისთავი სამართლიანათ ფიქრობს, რომ ბედნიერების წყარო სიმდიდრე კი არ არის, არამედ ორი რამ: ერთი—სიყვარული მახლობელ ადამიანთა მხრით, მეორე—

**მცირედით დაკმაყოფილების გრძნობა.** ამიტომაც არის, რომ ამ აზრს მგოსანი ხშირათ იმეორებს თავის ლექსებში; სხვათა შორის ერთ ლექსში პოეტი გვიხატავს სოფლელი ქალ-ვაჟის ურთიერთობას: ერთმანეთა შეუყვარდათ, ჯვარს იწერენ, ორივე ღარიბ-ღატაკია — და მგოსანი მაინც დარწმუნებით გვეუბნება:

„მქნებათ ტკბილი ცხოვრება და ერთი ლუკმა მქაღია“  
 („ღაკოლილი“).

ზღვებს ეს ღარიბი ლუკმა (ქადი და წყალი) ტკბილათ კიდევ იმიტომ ეჩვენება, რომ იგი მისი ნაოფლარია, მისი მარჯვენით არის შექმნილი, და არა წანართმევე-წანაგლეჯი, და ამისთანა იდილიური ნეტარება მშრომელის ოჯახისა რაფიელის წინათაც გამოხატა მე-18 საუკუნის მგოსანმა ლავით ბურამიშვილმა თავის „ღავითიან“-ში:

„ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ქამოსა:  
ცოლით არს, ვით მსხმო ვენახი, კიდესა სახლ-მიდამოსა,  
შვილნი ხედ ზეთის-ხილადა ურგს ტაბლის გარეშამოსა“  
-ო.

მს „მცირესა ზედა კმაყოფილების“ გრძნობა, **სარწმუნოება** და **ღვთის იმედი** — ა, რომ ღარიბ-ღატაკს ანუ გეშვებს და ასაზღოებს — და ამიტომ არის, რომ რაფიელის გლეხი საბრუა, რომელსაც დიდი სიმდიდრე არ გააჩნია (მისი სიმდიდრეა — ცარიელი სახლი, უღელი ხარი, ძროხა და ერთი ფურ-ზაქი, ქათმები, კრუხ-წიწილები და ქოსმენად — ე. ი. სასუქათ — ერთი ბურვაკი), კმაყოფილებით ამბობს:

„მცხოვრობ, ბეჩავი, ღვთის მადლით, — არ გამტეხია გულია...  
ნუ გეგონებათ შევშინდე, ჯაფისგან მოქანცულია!..  
სალამო ხანხედ ცოლ-შვილით რომ მოვუჯდები კერასა,  
მქაღს და ლობიოს მოვიდგამთ, ღვინოზე ვიწყებ მღერასა!“

ღაგაგურგულე ღიდს სათარს, ბალღებს მიეიწვენ ჩულღებზე,  
მეც იქვე წამოგვცორღები, არასა ვღარღობ ფულღებზე...  
მე, ღედამიწის მებრძოლი, გღეხი ვარ, გღეხად შობილი,  
ბრა ვარ ლღთის მომღღურავი, არა ვარ გულჩათხრობილი“...

(„საბრუას სახლ-კარობა და შეღღება“.)

ამგვარივე სულის კვეთება მოისმის გღეხისა რაფიღლის  
მეორე ლეკსში („რას შემომკქერი, ძმობილო“). აქაც გღეხი  
თავმოწონებით აცხადებს, რომ „ჯაფაში არ გამტეხია გულია“-ო.  
ზღეხს თითქო კიღევაც მოსწონს თავი იმიო, რომ აუტანელ  
შრომას ეწევა:

„რად გიკვირს, ძმო, შენ ჩემი დაკორღებული ხეღები?

ცულს და ბარს მოვაქნევიღე, ვგრიხე და ვგრიხე წნეღები...  
ქინეაში, მიწის ბრძოლაში—ზოგჯერ არც დამიბანია...  
ზინდა შანთს ავღღებინებ, არც კი ამეწვას კანია“-ო!..

ამღენ შრომასა და ჯაფასთან თუ გღეხი ნახევარჯერ  
მშიერ-მწყურვალია და შიშველ-ტიტველი—და მაინც კიღევ სუ-  
ლიო არ დაცემულა და თიოქმის კმაყოფიღებასაც გრძობს,—  
ამის შიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ იგი განუწყვე-  
ტელ შრომაშია გართული და არც ღროს და არც ნივთიერ  
საშვალღებას მისთვის ნება არ მიუცია ფუფუნებით ცხოვრღებას  
შეჩევოღა:

„რად მაძღევ? არას მარგია მე შენი ხელთათმანები:

საბუხარს არა ვჩვეულვარ,—რას მარგებს მაგისთანები“-ო,—  
ამბობს იგივე გღეხი („რას შემომკქერი, ძმობილო“).

## ღ. ხალხური კილო და ხალხის ზნეჩვეულღება

### რაფიღლის ლემსებში.

რაფიღელ მრისთავს ზედმიწევნით შეუსწავღია ხალხის ფსი-  
ხოლოგია, მისი ზნეჩვეულღება, მისი ენა --და ამიტომავე განსა-  
კუთრებით მოხთენიღათ ხატავს ხალხურ ტიპებს, ლამაზი პო-



ეტური ფორმით გადმოგვეცემს ხალხურ ლეგენდებს. ამ მხრით აღსანიშნავია „ჭალი-აყვანა“, სადაც მშვენიერათ არის დასურათებული სოფლელი მწყესების—ქალ-ვაჟის ურთიერთობა, და „ჭოროლლი“, რომელიც თოფის მოგონების პირველ დროს შეეხება.

რაფიელს განსაკუთრებით ეხერხება ხალხურ კილოზე მღერა, სოფლური ცხოვრების გამოხატვა — ხალხს შეეხება იგი თუ ბუნებას. მის ლექსებში სოფლის ხალხი ცოცხლათ იხატება სხვადასხვა სამუშაოში—ხან გაზაფხულზე, ხან ზაფხულში, ხან შემოდგომაზე თუ ზამთარში (მოიგონეთ, მაგალ., ლექსები: „ზაზაფხული“, „ზაფხული“, „ზამთარი“, „რთველი“, „თინას მამითაღი“ და მრ. სხვ.)—და ყოველი დრო და სურათი წმინდა ხალხური სიტყვებითა და გამოთქმებით აქვს შეფერადებული და გამშვენიერებული. აი, მაგალითად, როგორ აგვიწერს ხენა-თესვას (ლექსი „ზუთანია“):

„ზადი-გამოდი, გუთანო! ღირღიტავ, ბანი უთხარო!

სახსნის-საკვეთო, გაუსვი, რომ კაპკეს ძირი უთხარო!..

ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას გაუბი მხარია!

მებრვე, გაუკარ შვინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია!..

ზაჭიმინეთ ჯამბარა, დაჰმღერეთ ოროველაო,

ზადაზავეთ მინდორი, რომ დაგენატროდეს ყველაო!..

შრთას აუწიე, სახსისაც უმარჯვე, გუთნის-დედაო!..

ჰამირის ბელტო, ნუ ნახობ, გადადი ზედიზედაო!...“

აი, როგორ ცოცხლათ აგვიწერს პოეტი პურის მკას (ლექსი „ზაფხული“):

„ზაზაფხული გაგვიფრინდა, გაითონა სიმინდები...“

თივა დადგეს, ანეულსა დადგომია ამინდები!..

აგერ-აგერ ყანებშია ჰოოპუმას იძახიან...“

ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან!..

მტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია,

მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია?!..“

შახ იმ ერთს, გულგაღვლილს: თავზე ქუდი არა ჰხურავს, ხელსახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში ცურავს!“...

მს ლექსი აკაკის მუშურს მოგვაგონებს („სიმღერა მკის დროს“)—და თავისი მდიდარი შინაარსითა და ხალხის ცხოვრების ცოცხალი გამოხატულებით უფრო მადლა დგას, ვიდრე აკაკის ლექსი.

რაფიელი შესამჩნევი აღმწერელია ბუნებისა, როცა იგი სოფლის ცხოვრებას შეეხება. ამ მხრით საყურადღებოა ლექსები „ჩანჩქარი“ და „წისკელი“. ამ უკანასკნელის აზრი თუმცა ჩვენს პოეტს რუსულიდან აუღია, მაგრამ უცხოობა მას არაფრით შეეცუბა,—პირიქით, ნამდვილი ქართული წისკელი წარმოგიდგებათ თვალწინ.

(ნახეთ ეს ორი ლექსი „**ღამატება**“—ში და ზეპირათ დაისწავლეთ).

რაფიელი თავის ლექსებში გვიხატავს ხოლმე ხალხის ზნე-ჩვეულებას, მის გონებრივ განუვითარებლობას, რომლის დამახასიათებელიც არის მისი კრუმორწმუნეობა. ლექსი „მეკვლევი“ მაჩვენებელია ქართველი ხალხის საახალწლო ჩვეულებისა, როცა იგი ოჯახს **უკვლევდა, უფერხავდა** და მომავალი წლისათვის ბედნიერებას უსურვებდა:

„შემოვდგი ფეხი, გილოცავთ: გწყალობდეთ წმინდა მასილი, იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით ავისილი!..

ბელზე ხატდასვენებული—მოვდივარ, მომიხარინა, მადლი შეფლისა მომიძღვის, წმინდანი ჩემთან არიან!..

თელის ტაბაკი მიჭირავს, სანთლებით გაჩაღებული, ზედ ხორბალია, პურ-ღვინო, ოქრო და ვერცხლი ქებული,

ზედვე აწყვია ვაშლები, ალვა და გოზინაყია,

შაქარი, თაფლი, ჩურჩხელა და ქრთიც პატარა ტყვია“...\*)

\*) უწინდელ დროს საქართველოში მეფის წინ ტყვიას დაანარცხებდნენ, ახალწლის მილოცვის დღეს, და იტყოდნენ: „შენს მტერს გულშიაო“! (რაფ. მარსთავის შენიშვნა).

ლექსი „აღები“ გამომატველია ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობისა: გონებაგანუფითარებელ ქართველს დღესაც სწამს ალ-ქაჯების არსებობა—და ამ ლექსშიც მოთხრობილია ერთი გლეხის თავადასავალი: ხარების ძებნის დროს მას უნახავს აღები, რომლებიცგანაც თავი იმით უხსნია, რომ წმინდა ზიორგის სახელის ხსენებით შინისაკენ გამოქცეულა.

## 2. რაფიელის საჰმაფვილო ლექსები.

ხალხურ ლექსებს ეკუთნის აგრეთვე რაფიელის ის ლექსები, რომელიც ყმაწვილთა ცხოვრებას გვიხატავს. როგორც ხალხის ფსიხოლოგიას, მის ქირსა და ლხინს, ისე ყმაწვილების ცხოვრებასაც, მათ სულის კვეთებას საუცხოო პოეტური ხელოვნებით გადმოგვცემს რაფიელ მკრისთავი.

ამ მხრით შესანიშნავაა რაფიელის ლექსები: „ზამთარი“, „აღდგომა“, „ბზობა“, „რთველი“, „მიპატიეება სასწავლებელში“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „შვილნი ვართ“.

მაუნათლებელი მიწის-მუშა ხალხი და განუფითარებელი ახალგაზდობა ერთმანეთთან ახლოს დგანან თავისი გულუბრყვილობით, ცხოვრების სიმარტივით, ხასიათისა და ზნეწვეულების უბრალოებით—და რაფიელიც ზედმიწევნით იცნობს ხალხის ორივე ელემენტს და ორივეს დიდი ხერხითა და ხელოვნებით გვისურათებს.

ლექსი „ზამთარი“ გვიხატავს მოსწავლე ახალგაზდობის აღფრთოვანებას შობა-ახალწლის დღესასწაულების წინ, როცა ყმაწვილები სწავლისაგან, შკოლის შეზუთული ჰაერისაგან გათავისუფლებას მოელოან და აღტაცებით ეგებებიან თოვლიან ზამთარს, შეტრფიან და შეხარიან თოვლში გორვა-ჰოსერას,

თოვლზე ცივით სრიალს, ლასტ-კაკანათებით ჩიტების ჭერას და სხვ. და სხვ.

ლექსი „აღდგომა“ ცოცხლათ გვისურათებს ყმაწვილების აღტაცებას აღდგომის დღესასწაულის გამო, როცა **ახალი ტანისამოსი, წითელი კვერცხი, „ქრისტე აღდგა — ქეშმარიტად“** — ის მხიარული საერთო შეძახილი განსაკუთრებით ახალგაზღობას უზომოთ ახარებს და აფროთოვანებს.

„რთველ“ — ში გამოხატულია ხალხისა და ყმაწვილების საერთო გატაცება ყურძნის რთველით, ყურძნის კარგი მოსავლის სიხარულით:

„აბა, ზიგო, ქრჩხა თუ გინდა, ან ჯაგანი, ან აკილო,—

შენი წილი ზამთრისათვის, მოდი, ზურგზე წამოაკილო“—ო,—

მოუწოდებს ხალხი ბავშვებს — და დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი შეერთებული ძაღლონით მხიარულათ კრფენ ყურძენს და მარნისაკენ ეზიდებიან.

ლექსები: „**ჯერ შრომა, მერე ხტომა**“ და „**შვიდნი ვართ**“ — ორივე რუსულიდან არის ვადმოკეთებული, მაგრამ ორივეში ზოგადი ყმაწვილური აზრი და გრძობა შესაფერი ენით არის გამოთქმული — და ამიტომ არცერთს უცხო ენის ზედგაველენა არ ეტყობა. პირველში იხატება მოსწავლე ბავშვის შეურყეველი სიბეჯითე (თითქმის ამგვარივე შინაარსისაა მისივე ლექსი, „**მიპატიეება სასწავლებელში**“, რომელიც აგრეთვე რუსულიდან არის ვადმოკეთებული), ხოლო მეორეში — უსაზღვრო სიყვარული პაწია ბავშვისა თანშეზდილი და-ძმისადმი, რომელნიც უკვე დახოცილან, მაგრამ მათს პაწია დას მათი სიკვდილი თითქო არ სჯერა და, როცა ეკითხებიან, რამდენი და-ძმა ხართ ოჯახში სულ ერთიანათო, დაეინებით ამბობს — „**შვიდნი ვართო**“, როცა შვიდი კი არა, ხუთილა დამჩენილა ცოცხალი.

## რადიელ მრისთავი და კალცოვი.

რადიელ მრისთავისა და რუსის მგოსნის პალცოვის (1809 – 1842 წლ.) პოეზიაში ბევრი რამეა საერთო. მათი ცა და მეორეც სახალხო მგოსანია: სოფლის ხალხის ცხოვრებას გვიხატვენ როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთაც — სამუშაოზე.

როგორც რადიელის მიწის-მუშა გლეხისათვის ხარია უსაყვარლესი და უერდგულესი მეგობარი, ისე რუსის გლეხისათვის — გუთნის ცხენი, მხვნელი-ცხენი. ლექსი „მუთნის-დედის სიმღერა“ („Пѣсня пахаря“) მაჩვენებელია გლეხისა და მხვნელი-ცხენის ურთიერთობისა: გლეხი სიხარულითა და სიყვარულით ესაუბრება „სივკას“ (სისვ-ცხენს), ისე — თითქო იგი აღამიანი იყოს: „მე თვითონ შენთან ერთადა ვარ, შენი მოსამსახურე და პატრონიო“, — ეუბნება მიწის-მუშა გლეხი საყვარელ მეგობარ-ცხენს — და წინდაწინვე აიძვრება მას, რომ ღმერთი ჩვენს ყანას თავთავის დროზე მზესა და წვიმას არ მოაკლებს, ოქროსფერათ აბიბინებს და ბოლოს უხვი ჭირნახულის, „მძიმე ძნების“ ცქერით გულს გაგვიხარებსო. — მს ლექსი თავისი შინაარსით რამდენათმე რადიელის „მუთანს“ მოგვაგონებს.

პალცოვის მიწის-მუშა გლეხს ჭირნახულის მოყვანაში თითქო არავინ და არაფერი ხელს არ უშლიან, არც კაცი და არც ტაროსი: მის ყანას ღმერთი ხან ეუფუნა წვიმასა და ნაშლ უგზავნის, ხან მზიან დღეებსა და ტკბილ ნიავეს — როგორც საჭიროება მოითხოვს. რუსის მგოსანი ყოველ შემთხვევაში გვიხატავს გლეხის უსაზღვრო რწმენასა და დანდობას ღვთისადმი:

„ჩუმი ლოცვით მოვხნავ და მოვთვავ: ღმერთო, კარგი პური მომიყვანე, ეს ჩემი სიმდიდრე“ — ო, —

ამბობს ძალცივის გლეხი ზევით დასახელებულ ლექსში.

„მოსივალ“-ში („Урожай“) ნათქვამია:

„სოფლელები ღვთის წყალობას მოწიწებითა და ლოცვით ელოდებოდნენ, შუალმა მოუვლინა მათ ეს წყალობა (წვიმა და მერე მზე)—და სოფლელებმა დილა-ადრიანათ ილოცეს, ღვთის სახელი ახსენეს და წვილენ სახნავსათესათ... შრომისათვის შუალმა გამოუგზავნა მათ მალალი, მარცვლებით დატვირთული ქვავი... როცა მზემ დაინახა, რომ რთველი მოთავდა,—გაგრილდა და შემოდგომისაკენ გადიხარაო... მაგრამ, სამაგიეროთ, ცხელია სოფლელის სანთელი, ღვთის მშობლის ხატის წინ ანთებულიო“.

რაფიელსაც ამგვარივე სიყვარულითა და აღტაცებით აქვს დახატული ღვთის ნაკურთხი ყანა, რომელსაც ხან ნამი და ჟუჟუნა წვიმა ალაღანებს, ხან მზე აშრობს და ნიავი აბიბინებს:

„ჰანავ, შენ ჩემო ყანაო,

ნამი ვიამა განაო!

მიხდება ოქროს ქოჩორი,—

რამ შეგქმნა მაგისთანაო!..

ჰანავ, შენ ჩემო ყანაო,

ტურფავ და ლერწამტანაო,

მარცვალს ამზადებ მსხვილ-მსხვილსა,

შუალმა ასე ბძანაო!..

მეთამაშება ნიავი,—

ზღვასავით ღელავ, სვიანი!...

შენი შრიალი მახარებს,—

ღმერთმა გაშოროს ზიანი“!..

მაგრამ რაფიელს ახსოვს, რომ ღვთის იმედი აღამიანს ხშირათ არ უმართლდება და ბედი ყოველთვის არ უღამის: გოლვა და სეტყვა მას ხშირათ სარჩოსაბადებელს უნადგურებს და უნიავეებს (მოიგონეთ, მავალ., „ტეტის მოთქმა“ და „ბოლვა“).

ამ შემთხვევაში რაფიელი უფრო ახლოს არის სინამდვილესთან, ვიდრე ძალცოვი, რადგან ბუნებაც და ხალხიც ჭრელობია, ავი და კარგი მათში არეულია ერთმანეთში და მარადის ერთი უმეოროთ შეუძლებელია.

ძალცოვის ლექსებში, სხვათა შორის, არა ჩანს არც ნებატონე-მემამულე, არც მამასახლის-გზირი, რომელნიც რაფიელს კარგათა ყავს დასურათებული და რომელთა ბოროტ-მოქმედებაც რუსეთში კიდევ უფრო საგრძნობელი იყო, ვიდრე ჩვენში.

ამ სახით, რაფიელის მიერ ჩვენი გლეხის ცხოვრების დასურათება უფრო სრული და ყოველმხრივია, ვიდრე ძალცოვისაგან—რუსის გლეხისა.

ძალცოვი ჩვენი მგოსნისაგან განსხვავებულაოთ გვიხატავს სოფლელი ქალ-ვაჟის ურთიერთობას. ამ უკანასკნელებს ყმა-წვილური აღტაცებითა და თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ხშირათ უწყალო ბედი მათ სხვადასხვა მიზეზით თიშავს, ერთმანეთს აშორებს—და ამ დაშორების მწვავე გრძნობა დიდი ხელოვნებით აქვს ძალცოვს გამოხატული ბევრ ლექსში. ზოგჯერ დაშორების მიზეზი ნივთიერი სიღარიბეა—და შეყვარებული ვაჟკაცი შორეულ მხარეს მიდის საშოვარზე, რომ ფული შეიძინოს და მით დაშორების მიზეზი მოსპოს—ქალის მშობლებისაგან ნებართვა იშოვნოს (ლექსი „Косарь“).

ძალცოვი ამ ფარგალში იმისთანა შემთხვევებსაც გვიხატავს, როცა ქალი თუ ვაჟი, მშობელთა ძალდატანებით თუ მზითვის სიხარბით, არასასურველი ქორწინებით შებოროკილან და თავის მწარე ხედრს დასტირიან. რაფიელი კი, როგორც უკვე ვიცით, იმისთანა ცოლ-ქმართა ურთიერთობას გვიხატავს, რო-

მელნიც ტკბილათ, სიყვარულით ცხოვრობენ და ამიტომ ღარიბი ლუკმა-პურისაც კმაყოფილი არიან. ამ მხრით ორივე მგოსანი შემტარია, რადგან თითოეული მათგანი მხოლოდ ცალ მხარეს გვიხატავს—ერთი დამტკიცებითს და მეორე უარყოფითს, და სინამდვილე კი იმას გვეუბნება, რომ ცხოვრებაში ორივე მხარეს აქვს ადგილი—რასაკვირველია, მეტ-ნაკლებობით—როგორც უარყოფითს, ისე დამტკიცებითსაც.

რაფიელის გლახებს შორის ბედნიერება იშვიათ მოვლენას არ შეადგენს—და მათი ბედნიერების გრძნობა, როგორც დავინახეთ, იქიდან წარმოდგება, რომ მშრომელი გლახი მკირედით დაკმაყოფილებას—და, მაშასადამე, გასაჭირის მოთმენას—არის მიჩვეული. ამგვარსავე შეხედულებას გვიხატავს ძალცოვიც თავის გლახებს შორის;—მისი გლახი ამბობს:

„**ნუ დაიბადები ქონებისა და ნიჭის პატრონათ, ხოლო დაიბადე მომთმენათ და ყველაფრის ამტანათ**“,—

რადგან, მისი ღრმარწმენით, მხოლოდ ამისთანა ადამიანი გაუმაგრდება საწუთროს დარდსა და ჭირვარამს, რომელიც ადამიანის დამწელებელია (იხ. „Вторая пѣсня Лихача Кудрявича“).

ორივე მგოსნის ის ნაწარმოები, რომელიც მდებრიო ხალხის ცხოვრებას გვიხატავს, გარეგანი ფორმითაც ხალხურ კილოზეა დაწყობილი, ხალხური ენითა და შიარსიტყვითაა გამოთქმული. ამ მხრით ძალცოვი ჩვენს მგოსანზე უფრო ახლოს დგას ხალხთან—და ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი არა მარტო ცხოვრებით, არამედ განათლებითაც თავის ხალხს დიდათ არ დაშორებია: ძალცოვი მამა-მისმა აღრე მოაშორა სასწავლებელს (შორონევის სამაზრო სასწავლებლის მეორე კლასიდან გამო-



იყვნა) და იხმარებდა აღებ-მიცემობაში, რომელსაც იგი ეწე-  
ოდა. ძალცივი შკოლას გარეთ—თავისით გაეცნო მწერლო-  
ბას, ხალხურ შაირებსა და ზეპირსიტყვას, სიკვდილამდი სულ  
ხალხში ცხოვრობდა და ტრიალობდა—და მისი „სიმღერები“  
შინაარსითაც, გრძნობითაც და ენითაც ნამდვილი ხალხური  
ჰანგებია.

რაფიელის სახალხო ლექსებიც სავსეა ხალხური გამო-  
თქმებითა და წმინდა-ხალხური პოეტური მარგალიტებით, მაგ-  
რამ, ახლოს დაკვირვებით, მის ნაწერებს, შინაარსითაც და  
გარეგნობითაც, ძალცივთან შედარებით, განათლებული ინ-  
ტელიგენტის გრძნობა და გემოვნება ეტყობა.



და მ ა ტ ე ზ ა .

რ ა თ გ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი ს

ს რ ე ზ ლ ი ლ მ ა ს ე ბ ი .

# ზ ა მ თ ა რ ი

(ყმაწვილის შოგონება).

საშობაოდ დაგვიტხოვენ, დავისვენოთ ცოტა ჩვენა...  
ზასწი, ბიჭო, სოფლისავენ, გასწი, ბიჭო, შინათვენა!..  
იქ ახალს წელს დედ-მამასთან შევევებოთ სიხარულით,  
და ნაშობვეს ახალ სწავლას შევედგებით უფრო გულით...  
ამ ტკბილ ფიქრში გავიხედე ფანჯრიდამა, მეცა ელდა:  
ღლე იყო და მზე არა ჩნდა,— ჩამობნელდა, ჩამობნელდა!  
ცა, ზმელეთი დაგვიღონდა, ლეგა ღრუბლით დაბურულა,  
არცა წვიმს და არც ქარი ქრის, დილა ბინდად მიწურულა;  
აგერ-აგერ თეთრი ფერფლიც ნახად, წყნარად ცვივა, ცვივა,  
ჭაერში კი სითბო არი, არა ცივა, არა ცივა!  
სოფლი მოდის... აგერ თოვლი ამიჭრელდა, ამებლარდნა,  
მოუხშირა, მოუხშირა, წამობარდნა, წამობარდნა...  
მხედავ, ვხედავ, დაგვიხამორდა... შომავონდა მე ზამთარი,  
მომავონდა პაწიობა, მომავონდა მე სახლკარი.  
მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ, მიხაროდა თოვლის მოსვლა.  
სოფლის გუნდის გაკეთება, სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა.  
შვილდ-ისარით შაშვსა ესდევდით, ჩიტს ეუდგამდით აკანათსა,  
ლასტს ეუგებდით ბელურაებს, ვერ მხედავდნენ მუხანათსა.  
შევებმოდით მე ციგაში და ზედ მიჯდა ზოგიელა...  
ზადბრუნდის ჩენი ციგა,—კოტრიელა, კოტრიელა!..  
ბიჭები თავს შევიყრიდით, ვბტოდით, ვკიდაობდით ყველა;—  
ხან ერთი ძირს, ხან მეორე,—ჭერი, ბიჭო, კოტრიელა!..  
დალაღუნნი, გათოშვილნი მოვდიოდით ღამე შინა,  
მაგრამ ყინვამ და სიცივემ ვერც ერთი ვერ შეგვაშინა...  
მეორე დღეს ყინულზედა ვცურაობდით ნელა-ნელა...  
შკან კაპი, შუბლზედ კაპი, კოტრიელა, კოტრიელა!..

## დ ე დ ა - ე ნ ა .

ღვთისგან გაჩენილს ყოველს სულიერს,  
მრფევს თუ ოთხთევს, სუსტსა თუ ძლიერს,  
მცურავს თუ მფრინველს, მლილსა მიწიერს.  
შუმფულას თუ მწერს, მძრომსა ბიწიერს,—  
მის-მისდა გვარად ებოძა სმენა,  
მბოძა ღვთისგან მათ მათი ენა.

რომელი როგორ ხმარობს ენასა,  
როგორ გვაძხილებს თვისსა ლხენასა,  
ან მწუხარებას, კირს და წყენასა.  
შაებას, ჩივილს, გულის ტკენასა,—  
შამგებელია ამისი ჴენა.  
შინც გვიწყალობა ჩვენ დედა-ენა...  
ეს ვიცით მხოლოდ, რომ ღვთის ნებასა  
შინც კი გადავა,—შეჭზედეს ენებასა...  
შერც ვუღალატებთ ჩვენ ბუნებასა,  
შისსა კანონსა, განჩინებასა...

მაშ რას გვარგია იმისი წყენა,  
რომელმანც მოგვცა ჩვენ დედა-ენა?...  
მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა,  
ბულბული—ყროყინს, თეფზი—კნავილსა,  
ძრავი უმანკო—მელის ხავილსა,  
შვრიტი—ჭიხვისა, ბუზი—ბლავილსა!..  
ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა,—  
აქ სჩანს ბუნება და დედა-ენა!.

შიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,  
რომლითაც „ნანას“ მეტყვრდა ისა;  
აღერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,  
ჩემის ტოლების მღერა-ელივილსა!..  
მნით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა...  
შიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა...

ნუ გრცხვენის, ძმაო, როცა გაქვს წყენა,  
მშობელს ენაზედ მოთქმა, ცრემლთ დენა...  
აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,  
თორემ დაგწყევლის შენც ზუღა-ენა!..

მნით ეცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,  
მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა!

### ა ლ დ გ ო მ ა.

შულამე გადავიდა,—ასტყდა, ასტყდა ზარის რეკა!..  
ღიღი ზარიც ბოხს ხმას აძლევს, ზარბაზანმაც დაიჭექა!..  
ადე, ზიგო, ადე, ადე! ხალხი მიდის საყდრისკენა...  
ადე ჩქარა, ტანთ ჩაიციოთ, დავგვიანდით მარტო ჩენა...  
ყველა ახლით მოკაზმულა, ხელთ უჭირავთ კელაპტრები;  
ადე, ბიჭო, ტანთ ჩაიციე, მაგ ს:ბანში რაღას ძვრები?!  
აგერ ზარებს მოუხშირეს, ხალხი იყრის მეტანიას,  
საყდრები სულ ლაპლაპებენ, გარს უფლიან ლიტანიას!..  
მოვიკაზმეთ და გავსწიეთ,—ეკლესია მზიარულობს,  
ჟველას ტუჩზედ ღიმი უჭრის, მღვდელი გალობს და ლოცულობს!..  
აგერ მღვდელმა შეიძახა: „ძრისტე აღდგა!“—და ჩვეიც ცქვიტად.  
ჟუპასუხეთ სუყველამა: „ჟეშმარიტად! ჟეშმარიტად!..“  
ძრისტე აღდგა!—მიყვარს ეს დღე! მიყვარს, მიყვარს, მიყვარს  
დიდად!..

მოდო, ზიგო, გადაგკოცნო! „ძრისტე აღდგა!“—„ჟეშმარიტად!..“  
მოდო, კვერცი კვერცხსა დავკრათ,—მაგრა იყავ და კირკიტად...  
:ძრისტე აღდგა! ძრისტე აღდგა!“—„ჟეშმარიტად! ჟეშმარიტად!..“

### ზ ა თ ხ უ ლ ი.

ზაზაფხული გაგვიფორინდა, გაითოხნა სიძინდები...  
თივა დადგეს, ანეულსა დადგომია ამინდები...  
აგერ, აგერ ყანებშია „ჰოპოპუმას“ იძახიან...  
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ჰერს მორჩნენ და პურსა მკიან...

მტრელი, ვერიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია,  
მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია!  
შახე იმ ერთს, გულგაღებულს: თავზე ქუდი არა ჰხურავს,  
ხელცახოცი შებლს წაუქრავს, დასძახის და ოფლში ცურავს!  
შახე ერთი მეთაურსა, შახე იმის ნამგლის ტრიალს!  
ჰური უგდე მუშის გუგუნს, ყური უგდე იმათ გრიალს!..  
ჰინჭველივით ირევიან, სიტხეა და ჰაპანება...  
აბა შახე, რა ერთგულად ყველა ყანას ეტანება!..  
მღერიან და კიჟინობენ, „ჰოპუმას“ იძახიან...  
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...  
ჰველა ცდილობს მეტი მომკოს, ეჯობრება აქ ძვა ძმასა;  
იძახიან: „ულო, ულო!“ მეძენური უკრავს ძნასა.  
მღერიან და კიჟინობენ, „ჰოპუმას“ იძახიან...  
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა! ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...  
რიგი მიაქვთ საძნე ურმით, რიგსა ჰლეწენ სოფელშია,  
წერილ-ფეხობა კვერხედ უდგა, ხარი ხენეშის უღელშია...  
ძალი, კაცი, გოგო, ბიჭი — ეზიდება ზამთრის სარჩოს...  
ვაშა, ვაშა, მუშა ხალხსა! ღმერთმა იმათ გაუმარჯოს!

## რ თ ე ე ლ ი.

ჰურძენი დამწიფებულა!.. ლახე, როგორ წითლად ღუის!..  
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ კოლო, ბუბი თავს დაჰპბზუის!..  
შეიკრიბნენ ჰკრეფაყები, ამოუღდნენ თითო ვახსა,—  
ჰურძენს სელეპენ, იციონიან და მოაბეს მხარი მხარსა;  
მტევნებს ჰკრეფენ, ჰკლეჯენ, სტრიან... ვაჰკრეს. ვაჰკრეს ვენახს ხელი!  
ძალათები იზვირთება — და შეიქნა ხშირი რთველი!..  
საურმეზე გოდრები ღკას, კალათს სკლიან ზედრიხედა...  
აბა, ბიჭო, მარნისაკენ, თორემ ძლიერ გაიჭედა!..  
იკიდებენ მძიმე გოდრებს სიცილით და ლიღინითა,  
ურმით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება კრიჟინითა!..  
აბა, შიგო, კრჩხა თუ გინდა, ან ჯაგანი, ან აკიღო,  
შენი წილი ზამთრისათვის მოდი ზურგზედ წამოგვიკიღო...

ჩვეულება ესრეთი გვაქვს, ხილს ვინახავთ საზამთროსა;—  
შურძენი სჯობს შესანახად ნესვებსა და საზამთროსა...  
მზე ჩავიდა... საწნახლიდგან მოწანწკარებს ტკბილის წყარო...  
აბა, ბიკო, შეადექით, ახლა წურვას მოვუჩქაროთ!..  
ბიკებმა ფეხთ დაიბანეს, შემოადგნენ საწნახელსა;  
ბადიან და გამოდიან, უმადლიან ყურძნის რთველსა.  
აგერ ტკბილმაც მოიმატა, — ძლიესლა იტევს მოკლე ღარბი;  
ჩაფა-ჩქუფით მოჩქრიალებს, ქვევრი დახვდა უმადლარი!..  
ღაილოცა ლეთის ნაკურთხი, ჩვენის ოფლით მონაგარი!  
მაშ პირველად ლეთისთვის იყოს—ზედაშე და კელაპტარი!..

## ს ა მ შ ო ბ ლ ო ხ ე ე ს უ რ ი ს ა .

სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ და მისროლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი.  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,—ჩემი სამშობლო ის არი.  
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
მე მირჩენია შავი კლდე — თოვლიან-ყინულიანი,  
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარი გადმოჰქუხს ბროლი-წყლიანი...  
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...  
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
ბარად რომ ვიყო ლალადა, სული მთისკენვე იხარის,—  
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იკითკენ იხარის...  
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიციცხლევ იმწარის!..  
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,  
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,  
სასაზღო ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია.  
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავსცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავსცელი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა.—  
მორიე ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავე თვალზედა!  
როგორც შტალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!..  
არ გავსცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავსცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

## ნ ე ტ ა რ ა ს ს ტ ი რ ი , დ ე დ ი ლ ო ?

(ილა-მაჰმადხანის დროის).

ნეტა რას სტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა?  
ასი მკრან გულში, მირჩვენის მტირალი ქალის ცქერასა!  
ნეტა რას სტირი, დედილო? რას სტირი, ძუძუს კირიმე?  
ჯარს იძახიან, დედილო,—სად არის ჩემი ხირიმი?  
მთათარი შემოგვსევია, სწომს და აოხრებს ქვეყანას,  
მ-მა ქოხს თავზე დაგვაქცევს, ვენახს მოგვითელს და ყანას.  
ნეტა რას სტირი, დედილო? რა დროს გლოვაა შვილისა?  
ბულში მკრეს, ორგან გახვრიტეს ჩემი პერანგი შილისა.  
ნეტა რას სტირი, დედილო? დეე აქ ვეგდო ღელოში...  
ხომ ვეღარ ჰნახე ურჯულოს ვეღარსად საქართველოში?  
ნეტა რას სტირი, დედილო? ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ:  
მე აქ ვიგერებ ყვაე-ყორანს, თვალი მიჭირავს იმათკენ...  
ნეტა რას სტირი, დედილო? სახლზედ იყავი ფრთხილიდა:  
ირმა ხარს მოუარევი, მარილს ალოკდე ხილადა;  
ჰანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს ჭიოტა;  
მ ჰაწა არ დამიმშიოთ, ფოცხვერს არ დამიკშიოთა!..  
ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა,—ბაღია, ამიტირდება...  
შობამდის დავაიწყებდი, აღდგომას გამიფრინდება!..  
ნეტა რას სტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა?  
ასი მკრან გულში, მირჩვენის მტირალი ქალის ცქერასა!..



ყ ა ნ ა.

ჰანავ, შენ ჩემო ყანაო,  
ნამი ვიკა ვანაო!  
ბიხდება ოქროს ქოჩორი,—  
რამ შეგქვანა მაგისთანაო!..

ჰანავ, შენ ჩემო ყანაო,  
ტურფავ და ლერწამტანაო,  
მარცვალს ამზადებ მსხვილ-მსხვილა,  
შფალმა ასე ბძანაო!

მეთამაშება ნიაფი,—  
ზღვასავით ლელავ. სვიანი...  
შენი შრიალი მახარებს,—  
ღმერთმა ვაშოროს ზიანი!

მზე დადგომია თაფხედა,—  
ბიყურებს კაი თვალზედა;  
ციდგან დაგმღერის ტოროლა,—  
მე იმას ვიცილობ ხმაზედა.

ავერ ღრუბელმაც შურიტა,  
ხეტყვითა ნონაშურიტა,  
ზადაგიარა გრგვინვითა,  
მესმოდა ჩემის ყურიტა.

ღმერთო, აგვიკილდეს ავია...  
შენდა მოვხარე თავია,—  
ღალოკე ჩვენი ნაშრომი,  
მეიბოძე კარგი ხვავია!..

ქ ო რ ო ლ ლ ი

( ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე გ ე ნ დ ა ).

ძოროლლი სახელგანთქმული მოდის და მოიმღერისა;  
შეუპოვარსა, ძლიერსა არ ეშინიან მტერისა...  
წინ შეეხეჩა ვილაკა. თოფი ჰკიდია მხარზედა,—  
არ მოერიდა ძოროლლის, ფეხი არ გადგა განზედა...

მწყინა ძლიერ ღორღლის თამამი ქცევა მგზავრისა,—  
აენტო, გულში გაივლო ამოყრა მისი ჯავრისა...  
მაგრამ ჯერ ჰკითხა უცნობსა, რაზედ თავხედობს იგია...  
ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადუქილია?..  
მგზავრმა არ გასცა პასუხი, მოიგდო თოფი ხელშია,  
ჭყრა ყორანს, სული გაუფთხო, გაჰგლიჯა შუა წელშია...  
თავს ზარი ეცა ძორღლის პირველად, რაც კი შობილია...  
გაიგო, თოფი რისთვისაც, რა მოსახმარიც ყოფილა...  
მაშინ წარმოსთქვა ვაჟკაცმა სიტყვა სწორი და მწარეა:  
„აჲი და კარგი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარია!“...

## ქ ა ლ ი - ა ყ ე ა ნ ა \* )

( ლ ე გ ე ნ დ ა ) .

შილდის და შვარლის საშუალ პაწა გორა დგას ქუფრად;  
ზხაფხულია, მინდვრები ამწყვანებულა ტურფად;  
ცხვარი გრილოში იცოხნის, დაყრაღა ხის ძირს ჯგუფადა,—  
ამათი წყემსიც იქვე წვეს, მოლი აქეს ნოხად, სუფრადა. .  
აგერ მახლობლად გოგონაც ჰმწყემსავს ოცამდინ კრავებსა;  
ღანავარდობენ ბატკნები, შავთვალა იგრეხს კავებსა...  
თავს თუ აწონებს იმ მწყემსსა, შიგ თვალში უყრის თვალებსა!..  
მგელმა რომ კრავი მოსტაცოს, ნეტა ვის დააბრალებსა?...  
ბიჭი აენტო შმაგივით, თვალეზი დააბრაღაღა,  
წამოჯდა მარჯვედ, საღამურს ჩაჰბერა, ჩააწკრიაღა,  
ჩაკაკანა ხმატკიღად, სევდის ხმით შეაზრიაღა,  
შავთვალას გული მოუკლა, გონება გაუტრიაღა...  
მერე უზრახა დიაცსა: „მოდი აქ დავსხლეთ სწორადა!  
შულის კირიმე, აქ მოდი, ცხორსაც ცხორი ჰყავს ტოღადა...  
მეყო ამდენი ობლობა, ნუღარ დამაგდებ ობლადა...  
თავს ვანცვალეზ შენს მზესა, ოღონდ წამამყე ცოღადა!“.

\*) „ძალი-აყვანა“ ერთს პატარა გორასა ჰქვიან ჯა მდებარებს  
თელავის მაზრაში, სოფელს შილდასა და შვარელს შუა (ავტ.).

თავი ჩაღუნა გოგონამ, ჩაიღიმილა დარცხენით,—  
თავი არიდა ლომგულსა, იცქირებოდა მარცხენით...  
მერე მიუგო შავთვალამ, სიამოვნებით, არ წყენით:  
„მეც შენ ცეცხლში ვარ, ბეჩავო,—თუ შესძლებ, ამ ჭირს დამხსენი...  
თუ ამიკიდებ ზურგზედა, თანაც დაუკრავ სალამურს,  
ძოდანდელებრივ ტკბილს ხმასა, გულის სალალოს, საამურს,  
ოსე ამიყვან ამ გორზედ,—მაშინ მე თავი არა მშურს  
შენდა გულისა წამლადა, შენი ცოლობა მაშინ მწყურს“...  
ბიკმა მოიგდო ზურგზედა გოგონა, როგორც კრავია,  
თან სალამურზედ დაუკრა, რაც ტკბილი დასაკრავია,—  
დაუკრა გოგოს საამო ხმა, გულის მოსაკლავია,  
შეუდგა პაწა გორასა, არ მოჰლაღვია მკლავია...  
მიდის და მიდის ნელ-ნელა, უძგერს და უძგერს გულია;  
ძალზედ მიიწვეს ზევითა, ნუხლებში მოქანტულია;  
ბაკურდა ხვითქში, გადმოსდის ოფლისა ნაკადულია.—  
შემძიმდა ტვირთი ძვირფასი, უწუხს ობოლი სულია...  
აეიდა წვერზედ, გადმოსვა გოგონა, პირზედ ნათელი...  
მაგრამ თვითონ კი ვერ იძვრის, როგორც ნაცემი, ნათელი,—  
როგორც უღონო, უძლური, ველარა ჰსუნთქავს ჯანმთელი...  
მაჰვარდა სული ბეჩავსა. გაქრა, როგორც რომ სანთელი!...  
იქვე სდგას დღესაც ის გორა, თითქოს მინდვრების მცველია;  
„ძალი-აყვანა“ დაარქვეს, რადგან იმ მწყემსის მკვლელია...  
იქ, ახლო-მახლო სოფლებში, სუყველა ამის მთქმელია,—  
ასე გავიგე ყველასგან ამბავი ძველის-ძველია.

## თ ი ნ ი ა ს მ ა მ ი თ ა დ ი .

მამითადი ჰყავს თინიას,—დღეს არის ამის ლხინია!  
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია!...  
ძვირვ-ოხერს, ბეჩავ თინიას ჰყავს ერთადერთი შვილია,  
პაწია, წვითა და დაგვით, ვაებით გამოზდილია.

დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში.  
მაგრამ სათესლე გაჭირდა,—არ გახლდათ საკუქნაოში!...  
ჩამოითხოვა თინიამ ოროლი მუტა ხორბალი,—  
მოთესა, უცებ ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა ჭვთის თვალი!..  
თავთავმა თავი დახარა, ყველამ გალესა ნამგალი,  
თინას კი გული უსკდება: ვინ მისცა იმას მომცალი!...  
თუ სანახევროდ სხვას მისცა, რაღა გასაყოფელი?  
თუ არა, ღონე არა აქვს, მისი ღონეა სოფელი...  
ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: „ყველას დაველრიჯები“...  
ღილა-ადრიან მოადგნენ კარზედ რჩეული ბიჭები;  
„ჰოოპუმათი“, კიყინით მოედგნენ ქვრივის ყანასა,—  
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!...  
თინა მასპინძლობს გულუხვად: მოუტანია მკადები,  
მაწონი, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები...  
ცოტა არ იყოს რცხვენიან,—ღვინო არა აქვს საწყალსა...  
მაგრამ ზედიზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივს წყალსა...  
„ჰოოპუმა“ და კიყინი უხდება ქვრივის ყანასა...  
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!...  
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია:  
მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის ამის ღზინია!...

## ს უ რ ა თ ი

(სოფლის ცხოვრებიდან).

ცხელა და ცხელა, პაპანებაა...

ძიხის წინა ზის ყმაწვილი დედა;

პაწია ბიჭი, ჩჩვილი ფუნთუშა

ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა...

„აქა, მამილო! მამილო, აქა!“—

ღედა ძიხის შვილის მაგივრად;

მაგრამ „მამილო“ ჯერ არსადა სჩანს,

ის სამუშაოდ წასულა მინდვრად...

„აჰ, მამილო!“—სთქვა კიდევ დედამ:  
..თან მოიჯანე ბევრი კაცები“...  
ბელში კი ჰფიქრობს: „სად, რას ბუშაობ.  
პაპანებაში რას იკაცებდი“...  
მზემ გადისხარა, დაჰბერა სიომ...  
აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი.  
ხვითქი გადასდის გულგაღვლილსა—  
და ახალუხიცი არ მოსდევს მშრალი.  
თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი.  
მოდის. ღიღინებს დაბალს ხმაზედა,  
მოდის ამაყად. მჭრელი ნამგალი  
ბადაუღვია მოღლილ მკლავზედა...  
წინ მიეგება ყმაწვილი ცოლი  
და მიაწოდა ზიგლა მამასა,—  
იმანაც შვილი ოფლიანს გულში  
მაგრად ჩაიკრა და ჰკოცნის მასა!  
ზიგლამ უტაცა მამას უღვაში.  
ლოყაზე თათი მოუცაცუნა...  
მამას იამა შვილის ცელქობა,  
უღვაშის წიწყნა არ დაუწუნა...  
დაჯდა მაშვრალი დერფანშია.  
ბვერდით მოიღო მჭრელი ნამგალი...  
ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით,  
ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი...  
ცოლმა მთართო მკადი და წყალი.  
ზიგლა ჩააკრა „კაკანაშია“,  
ბვერდით მოუჯდა კმარსა და შვილსა,—  
მათის ყურებით განცხრომაშია!...

## თ ა ნ დ ი ლ ა ს დ ა რ დ ი.

ჩაფიქრებულა თანდილა, დაუკრეფია გულ-ხელი,  
ჩასცქერის დედამიწასა, ჩუმად ბუტბუტებს გულხელი:

„მომიკვდა ხარი ზიშერა, მოკვდა,—გამიწყრა ღმერთია!  
საღა ვუშოვო მეუღლე, ცალად-ღა დამრჩა ერთია!...  
რილათი მოვხნა ნაწრეტი. რით ავიცილო შიმშილი,  
რილთ გაუძღვე ქვეყანას, რილთ ვარჩინო ცოლ-შვილი?...  
შენი ჭირიმე, ზიშერავ!... ჭირინე შენი ქედისა...  
მომცილდი, მომკალ. ბეჩავი, მწყყევარი ჩემი ბედისა...  
რა ვუყო შენს ცალს ირმასა. ვერ მოვიკარე თივითა,—  
ღარბის თვალდაფეთებული, ყვირის ხარ-ირემივითა...  
მომიკვდა ხარი ზიშერა, მოკვდა—გამიწყრა ღმერთია!...  
საღა ვუშოვო მეუღლე,—ცალად-ღა დამრჩა ერთია!...

## ჩ ა ნ ჩ ქ ა რ ი.

სპეტაკი, მთაში ნაშობი, მთიდან გადმოჰქუხს ჩანჩქარი;  
ცვივა და ცვივა სპეკალი. ზვირთი ზვირთს მოსდევს ჩქარ-ჩქარი.  
ზღვა წვიმად გამალებულა, ქუხს ღა ბუნი დგას თქორისა;  
შიგა ჰბუქნავენ, ცელქობენ სხივები მზისა შორისა!..  
ღაბლა ქაფი დულს, შრიალებს, ჰბანს და ჰრეცხს სალსა კლდოვანსა;  
აქ ცისარტყელაც აშვენებს ტყეს და ველს ყვავილოვანსა!..

## დ ე დ ა ბ რ ი ს მ ო თ ქ მ ა.

ნეტა რას სტირი, ბებერო,  
მისზედ ჩაგიცვამს შავები?...  
რას მოსთქვამ გულამოსკენილი,  
მაგიწეწია კაეები?  
—რას მეკითხები, ბატონო,  
რას აქნევ ჩემსა დარდებსა?  
შვილი მომიკვდა სიყმისა.  
ღაეტირი ჩემსა შევბედსა!..-  
ღაემარზე დედის ერთაი,  
მცდაერთი წლის ბიჭია...

რალას ვვარგივარ უმისოდ,  
მონხრილი, როგორც ღიქია?...  
ღავკარგე ჩემი სესია,  
ქარგი მეურმე, ზომმკალი!...  
თუ გებრალები, ღვთიანო,  
მონდი ჩამქოლე, ზომკალი!...  
მინლა მომხედავს ბედკრულსა,  
მილა მომანწედის მე ჯერსა,  
მინლა დამარჩენს უძლეურსა,  
ზადაყრუებულ ბებერსა?...  
მელარც ვმუშაობ, ვკანკალეზ,—  
ნეტა ვის შავებრალები?—  
მელარც დავართავ ჯარსა,—  
ცრემლმა ამომწვა თვალები!...  
ნუ მეკითხები, ღვთიანო!  
რას აქნევ ჩემსა დარდებსა?...  
შვილი მომიკვდა სიყმისა,  
ღეტერი ჩემსა შავებდესა!...

## წ ი ს ქ ე ი ლ ი

(აზრი რუსულიდან).

წყალი მოშხუის ღარშია,  
ზამალეზული შხრიალეზს,  
ქაფი ღელს, სწინწკლავს, ბორბალი  
ციბრუტივითა ტრიალეზს!  
წისქვილი მოქუხს, ღოლაბი  
ბრუნავს და ბრუნავს მალადა,  
მარცლი ზანზარეზს, ხორბალი  
ქრიქაში მოკურს წყნარადა.  
აქ სარეკელიც ტაშს უკრავს...

ერთი შაჰხედეთ კუენასა!...  
წისქვილიც, მათი ამყოლი,  
ცეკვავს და უვლის ბუქნასა...  
თეთრი მტვერია ყველგანა,  
არა ჩანს მზისა შუქია...  
სპეტაკს ფქვილს ისერის დოლაბი,  
ღამდგარა ხორბლის ბუქია!...

## გ უ თ ა ნ ი.

ზადი-გამოდი, გუთანო! ღირღიტავ, ბანი უთხარო!  
ხანის-საკვეთო, გაუსვი, რომ კაქაქს ძირი უთხარო!...  
ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას მოაბი მხარია!  
მეხრევე, გაუკარ შეინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია...  
მააქიმინეთ ჯამბარა, დაჰმღერეთ „როგოველა“,  
ზადააშავეთ მინდორი, რომ დაგვნატროდეს ყველაო...  
ფრთას აუწიე, ხანისსაც უმარჯვე, გუთნის-ღედლაო!  
შამირის ბელტო, ნუ ნაზობ, გადადი ზედიზედაო!  
შენი კირიმე, გუთანო, ნაკურთხო მალლა ღვთისაო,  
მოხან, მოთესე ხორბალი, მოვიმკო სარჩო წლისაო!...  
ზადი-გამოდი, გუთანო! ღირღიტავ, ბანი უთხარო!  
ხანის-საკვეთო, გაუსვი, რომ კაქაქს ძირი უთხარო!...

## ბ ე რ უ ა ს . ჩ ა თ ი ქ რ ე ბ ა .

მ როგორ არი, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია?  
მიწა სხვისაა, ვჭირაობ, შრომა კი—მარტო ჩემია...  
როცა მლალატობს მზე-წვიმა და მომიცდება ყანები,  
შფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები!...  
მაგრამ რომ ღალა მიწისა არ ასცილდება მთესავსა?...  
სად რა ვიშოვო, საბრალომ, ვინ მომაქვავებს ბედშავსა?..  
მ შავი მიწა მინც რომ სასყიდლად არა მქონოდა,  
შავ სამარემდინ—რა ვიცი—მე რალა დამაღონებდა?...



## ს ე ს ი ა ს ფ ი ქ რ ე ბ ი .

მიწა ვარ ნიადაგ მენა, ბეჩავი, გლეხად შობილი,  
მიწაა ჩემი ღედ-მამა, ჩემი და, ჩემი ძმობილი...  
მხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,— შრომა მაინც ფუჭია...  
პერ გაღვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია...  
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჯინტველაც ჩემი მტერია,  
მიხელე, მღვდელი და ერი—ყველა მე შემომცქერია...  
ნეტავი გამაგებინა: როდის-ღა მომასვენებენ?  
პერ შავესწრები, მგონია, მინამ არ წამასვენებენ!..

## ლ ა მ ი ს მ ე ქ რ ე .

ლამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი, ნაბადში გახვეულია;  
ბუთნის ხარ-კამბეჩს ვდარაჯობ, უნდა ვხნათ ანეულია...  
მზე რაკი ჩავა, გუთნეულს გამოვაცოლებ ქალასა,—  
თუ მგელი ამოგვედევნა, ფინთად აუშლი ბალანსა!...  
რომ დალამდება, ყურს ვუგდებ, არ ისმის ჩქამა-ჩქუმია,—  
მარტოკა მშიერ ხარ-კამბეჩს გაუღის სრამა-ხრუმია!..  
ხანდისხან ქოტის ხმა ისმის—და გულს მიღონებს წყეული:  
ისე საბრალოდ გასძახის, როგორც თიკანი ეული!...  
ჭეჯილის სანაპიროზედ სძოვს და სძოვს გუთნეულია,  
იმთ ცოხნაზედ ხანდისხან მომეკიდება რულია...  
მმაგრობ და ვფხიზლობ, თავს ვიჭერ, თან დავღიღინებ წყნარათა,—  
შავებდამ, ხარი-პარიამ ლამაზად გამოანათა!...  
მერმე აღარა მიჭირს-რა, გატყდება ღამე და ძილი,  
მრავალიც გადქანება, დიდი არ რჩება მანძილი...  
მასუკან დილის რიყრაყი ცას განმინათლებს და გულსა,  
ტოროლაც შაინავაჩედებს, ძირს ველარ ვნახვ ნაშულსა!...  
მზე ყურს ამოჰყოფს, გუთნეულს დავირეკ შესაბმელადა...  
, ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელადა.

## ტ ე ტ რ ი ა ს მ ო თ ქ მ ა.

ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?  
ი დასაქცევმა სეტყვაჲ კარს მომაყენა შიმშილი!...  
რას ვიფიქრებდი, ბეჩაჲ?—ცა კამკამებდა ლურჯადა...  
სამი დღის ყანა, სამკალი. ზედ კარზედ მდგა ბურჯადა.  
შუკებ გამოჩნდა პაწაწა, მუშტის ოდენა ღრუბელი,  
მერე გადიღდა... იგრგვინა—და წამოვიდა სულ ბნელი...  
ღსაველეთიღამ დაჰბერა, წამოგვავარა კოხია,  
ბალღები დამიწოკა, მოაძებნინა ქოხია.  
ისროდა მუშტის ოდენას და გრიალებდა წყეული...  
მირეგვ-მორეგვა ხეხილი, გაწყალდა ანახდეული!...  
ჰანა წამიხდა, რა ყანა, ავ თვალს არ ენახებოდა:  
თავთავს ქვეშ იზნიქებოდა, სიმძიმისგან წვებოდა!...  
ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?—  
ი დასაქცევმა სეტყვაჲ კარს მომაყენა შიმშილი!...

## ბ ე რ უ ა ს ჩ ი ე ი ლ ი.

ჰველა მე ჩამომეკიდა: მამახსხლისი, გზირია...  
როგორ არა ვთქვა, ბეჩაჲ, მეც ჩემი გასაჭირია?...  
შული მემართა ვაჭრისა. „რივისთვის“ აღებუღია,  
თავნში პურ-ღვინოს დამჯერდა, ვახშში მივეცი ფულია.  
ბკი გაუწყრა ღმერთია და მიშილთახა წყეულმა:  
ვალი მომთხოვა მეროდ. ღვინოზედ შემოჩვეულმა!  
ხელახლად წამომიარა, სულით ხორცამდის გამცალა....  
ნათლია მამახსხლისმა ერთს თუნგს არაყში გამცვალა!...  
ბრ შემარჩინეს ზედაზე, გოჭი, ქათამი, წიწილა,  
ბრც საბუღარში კვერცხები,—გამომიღია სინსილა!...  
ბგო ვაჭარი ჩემ სახლში ნავარდობს, როგორც ქორია,  
ბზირიც, არყისგან გამტყვრალი, გორაობს, როგორც ღორია!...  
ბა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რით მოვიცილო ბირია!...  
ჰველა მე ჩამომეკიდა: სოფლის მოხელე, გზირია...

## ა ლ ე ბ ი

(დემეტრე კურდღელაშვილის ნაამბობი).

მრთხელ,—არ მახსოვს კარგადა, ზაფხული იყო მგონია,—  
ტყეში ხარების ძებნითა გამომელია ღონეა...  
მიველ და მივეჯექ წყაროსთან. მზივარ, არ ისმის ჩქამია...  
ჰყანტში კი დალაჯუნებს მართა ბაყაყის-ჭამია...  
ბოლოს, ვეძებე კიდენა, ძლივს-ლა მოვხილე ხარები;  
ბამოვირეკე, შაბინდლა, შინათყენ მოვეჩქარები...  
ამ დროს მომესმა,—წყეულმა, ოლოლმა შემოიძახა,  
ბაღმიდან ბაიუშვივით იმას მეორემ უძახა...  
შავეკრთი, შავდექი... ამბობენ, იქ თურმე იცის ალები:  
ღამით წყლის პირას დადიან, კაცს ეკონება ქალები;  
თმები ჩამოსთრევთ კოჭამდის, ძლიერ უქებენ ბჭყალებსა;  
ვისაც კი დაიხელებენ, იმ წამს აუბმენ თვალებსა:  
მიიტყუებენ თავისთან ღიმილით, ტკბილი ტიტინით,  
ან კლდეზე გადასჩეხამენ, ან დაახრჩობენ ღიტინით...  
აბა, მეც ამას ვშიშობდი, იმითი მერიდებოდა:  
ალ-ქაჯის ხელში, რა ვიცი, მენა რა გადამხდებოდა!..  
მოვდივარ ფეხაკრეფითა, თან ვაფაციკებ თვალებსა,  
ვშიშობ, არ გადავეყარო სადმე იმ წყეულ ალებსა...  
ამ დროს უეცრად კურდღელმა წინ გზაზედ გადამიბრინა...  
ძარგად არა მყავს დაცდილი,— ამ საფრთხემ გულზე მიკბინა...  
მაგრამ არ ვიმცნევ არაფერს, ვარ ჩემთვის ჩაფიქრებული,—  
ხანჯალზედ ხელი მივლია, მოვდივარ გაფთხილებული...  
მთვარე კაშკაშებს დღესავით... გავხედე რიყის-პირასა,—  
მხედავ რალასაც თმაგაშლილს, მიმჯღარა წნორის ძირასა!..  
მეორეც დედიშობილა ამოსტუზვია წნორებსა:  
ისეთი ლამაზი არის, თვალს ვერვინ გაუსწორებსა!..  
შემასწრო თვალი წყეულმა,—გაიკისკისა ძალიან,  
ხელს მიქნევს, მვალერსება... იმისთვის ვისა სცალიან!..

სულ ამეშალა ბალანი!.. გადავიწერე პირჯვარი,  
მახსენე წმინდა ზიორგი—და ისარივით ვიძარი...  
ასი-ათასმა აღ-ქაჯმა დამკივლა, გაიკისკისა.  
ხმა მისცა მთა და გორამა,—მარტო კიჟინა ისმისა!..  
მეცი ლიტიან კალასა... ვინლა დასდევდა ხარებსა!..  
ბულგახეთქილი მოვარდი ჩემი ქონხმანის კარებსა...  
ერთი თვე ვიყავ ავადა, ველარ გამოდვდგ ვერაფრით,  
მანამ არ ჩამოვილოცე წმინდა ზიორგი ზვარაკით.

### მიძაღვიუება სასწაელებელში.

წამოდექით, ყმაწვილებო,  
თან ჩაიკეთ საჩქაროზე!  
აბა, თავი მოიყარეთ  
სწავლისათვის თავის დროზე!..  
რა ხანია მამლაყინჩამ  
იყივლა და გაათენა,  
შერცხალმაც კი იტიკტიკა,  
არ დააცხრო ტკბილი ენა!..  
აგერ ტყემაც გაიღვიძა,  
შრიალეებს და რაცლას ხარობს,  
ქოსალა ხეს უკაკუნებს  
და მწყერჩიტა ცაში გალობს!  
მინდორი და ველი ჰყვავის,  
ნამი ბზინავს ათას-ფერად,  
მზემაც თვალი გააჭყიტა,  
აპოვიდა მათ სამზეფად...

ზინტველები ველს მოდენენ,  
თითქმის რაღაც ჯოგიაო...  
მოლაღურიც გაიძახის  
მალლა: „ბიქო—ზოგიაო“!..  
ზია-ლუა სარჩოს ჰზიდავს,  
რომ გაივოს თავის ბინა,  
და ფუტკარიც მიზუზუნებს  
შვავილისკენ თაფლისთვინა...  
ქაცი, მზეცი და ჩიტები—  
შველა საქმეს ჰკიდებს ხელსა,  
მეთევზევა—ბადესა ჰჰლის,  
და მუშაკი იქნევეს ცელსა...  
წამოდექით, ყმაწვილებო,  
თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი,—  
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს,  
წიგნს მოჰკიდეთ აბა ხელი!..

### ჯერ შრომა, მერე ხლომა.

სწავლობს ზიგლა ტიტინა,—  
მზემ შემოუჭყიტინა:  
— ზიგლა, გეყოფა სწავლა,  
ახლა კარგია გავლა!..

ზამო, შეითამაშე,—  
არვინ ეტყვის მამა-შენს!  
— არა, მზეო, მზე-ქალავ,  
ჯერ გავათავო სწავლა!..

ზიგლამ დაიწყო წერა  
ჩიტმა დაიწყო მღერა:  
— ზიგლავ, გეყოფა სწავლა,  
ახლა კარგია გავლა!..  
ზამო, შეითამაშე,  
არვინ ეტყვის მანა-შენს!  
— არა, ჩიტო—ბზეწვიავ,  
მე ოსტატი მეწვია...  
შენ თუ მორჩი მღერასა,  
მაშ მეც მოვრჩე წერასა!..  
ზიგლა სწავლობს გაკვეთილს,  
არ უყურებს ბალში ხილს...  
ბალიდგან ალუბალი  
ცდილობს მოსტაცოს თვალი.

— ზიგლა, გეყოფა სწავლა,  
ახლა კარგია გავლა!..  
ზამო, შეითამაშე,  
არვინ ეტყვის მამა-შენს!  
მორჩა სწავლას ბლანა,—  
სწავლამ ის არ დალადა...  
ზამოვიდა გარეთა,  
შესძახა მოყვარეთა:  
— შინ მეძახდა წელანა?..  
აქ მობრძანდი ერთხანა!..  
მზე უცინის ზიგლასა,  
ჩიტი უგალობს მასა,  
ალუბალი დარცხვენით  
აწვდის დიდ კუნწულასა...

### საბრუნას სახლ-კარიობა და შექმნება.

მე მუშა-კაცი გახლავარ,  
ბლესი ვარ, გლესად შობილი,  
არა ვარ ლეთის მომდურავი,  
არა ვარ გულჩათხრობილი.  
ჩალური სახლი მიდგია,  
ხულა, დერეფნით სრულია,  
სხვენი აქვს წიფლის ფიცრისა,  
ტედლები გამოწწულია;  
წინ და გვერდებზედ კარები,  
შრდულად დიდი კეტია,  
ხულის კარებს კი რაზა აქვს  
შიგნიდგან დასაკეტია.  
შიგ შუა სხვენში ჰკილია  
ჩალხანის საკიდარია,  
ხულისკენ—თარო ჯამ-ტურკლით  
და კრუნის საბუდარია...

ქერასთან შუა ბოძია,  
ბოძთან—ძმრის ქიცო თხლიანი,  
ბოძს უკან—ფქვილის გოდორი  
და კოდი ბარაქიანი!..  
შდელი ხარი კარზედ მყავს,  
ძროხა და ერთი ფურ-ზაქი,  
ძათმები, კრუნ-წიწილები,  
ძოსმენად ერთი ბურვაკი...  
მცხოვრობ, ბეჩავი, ლეთის მადლით,  
არ გამტეხია გულია...  
ნუ გგვონებათ-შევშინდვ,  
ჯაფისგან მოქანცულია!..  
ხალამო ხანზედ ცოლ-შვილით  
რომ მოვეუჯდები კერასა,  
მკადს და ლობიოს მოვიდგამო,  
ღვინოზე ვიწყებ მღერასა!



რას შემომტკერი, ძმობილო? ოფლში ვარ გაწუწულია?..  
ნუ გიკვირს, მენა ჯაფაში არ გამტეხია გულია...  
რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ... მიდგას მე კარგი ყანები...  
ბლენხდ დამბადა უფალმა,—იმასამც ვეთაყვანები!..

### გ ო ლ გ ა.

პაპანება, ბული დგას, უჭირს საბრალო ყანასა...  
ბაჭირდა, გოლვას ვერაჲინ ვერ უძლებს ამისთანასა!..  
ღავიშრა წყლები ნაკალი, გახმა და დასკდა მიწები...  
სუნთქვა სტირს, ღონე მომელო და ზეზეურად ვიწვები!..  
ღმერთო! თუ-კი რამ შამეძლო, მოვხან, მოვთესე ბეჩავმა...  
შენს იმეღზე ვარ, უფალო!—მეტი რალა ვთქვა ბედშავმა!..  
ღმერთო, გვადირსე ცის ნამი!... ყანამ დახარა თავია...  
თორემ მოველი შიმშილსა, თან სდევს სიკვდილი შავია...  
იქეჭა, გრგვინვა მოისმა, იელა სადლაც ცაშია!...  
მაგრამ ნამი კი არა სჩანს არსად ცის კამარაშია!..  
უფროდაუფრო ჩამოცხა, მიწუხს მაშერალი სულია,—  
არსაით იძვრის ნიავი, ცა რაცლა მოღუშულია...  
პაპანება, ბული დგას, უჭირს საბრალო ყანასა...  
ბაჭირდა, გოლვას ვერაჲინ ვერ უძლებს ამისთანასა!..

### მ ე ვ ე ნ ა ხ ი ს ს ი მ ლ ე რ ა.

მაზის ჰირიძე, ვაზისა,  
უფლისგან კურთხეულისა!  
წითელი ღვინის დედა,  
მამხარებელი გულისა!..  
მაზო, შეილივით ნაზარდო,  
ულეაშებ გადგიგრეხია,  
ჩაჰკონებხიარ ჰიგოსა,  
შუაზე გადგიტეხია...  
თუ დაგიზურგავს კურძნითა,  
მერ გაუძლია ბეჩავსა...

რად არ ამკიდე, ვზიდავდი,  
არ დავზოგავდი მე თავსა!..  
ჰირიძე შენი ფესვისა,  
მოვეკვდები მე შენს ძირშია,  
შენი ვარ მხნე და გულადი,  
იმედით გასაჭირშია!  
შენი ზედაშის მადლს ვფიცავ,  
შენ არ მოგაკლო ბარია,  
მაგსხლა, შაგყელო, დაგთოხნო,  
არც კი ჩნდეს მონათხარია;

ზაგფურჩქნო, გაგალამაზო,  
როგორც რომ პატარაღალია,  
აღარ დავზოგო მე შენთვის  
ჩემი ღონე და ძალია...

მაზის პირიმე, ვაზისა,  
შელისგან კურთხეულისა!  
წითელი ღვინის დედა,  
მამხარებელი გულია!..

## ღმერთი დიდია, ღარიბო!

რამ დავაღონა, ძმობილო?

პური თუ შემოგელა,

მონან, მოთესე, მოიმკე,—

ბუნება მწყალობელია...

მამხნევედი, ძმაო! იხედი  
არსად არ გაგიფრინდება:—

ღმერთი დიდია, ღარიბო,

ბული ნუ შეგიშინდება!

წუთისოფელი ცრუ არის,

ბქ ყოფნა ერთი წამია...

მამხნევედი ყველა საქმეში

ღა გაისარჯე, ძამია!..

როცა რომ იასაული

შმართლად ჩავაფრინდება,—

ღმერთი დიდია, ღარიბო,

ბული ნუ შეგიშინდება!

შფოთს ნუ აუტეხ ნურავის,

შველასთან იყავ ძმურადა:

ღაჟას რომ ხარჯი მოჰყვება,

შენ ის გეყოფა პურადა.

თუ მეზობელი აგიტყდა,

ჩქარობს და აგიღრინდება,—

ღმერთი დიდია, ღარიბო,—

ბული ნუ შეგიშინდება!

რაც დავღო ბედმან ვალადა,

თავ-თავის დროზე აძლიე;

სათემო სამახურები

არ შიირჩინო, დასძლიე,—

ღა მაშინ მამასახლისი

თუ რასმე აგიხირდება,—

ღმერთი დიდია, ღარიბო,

ბული ნუ შეგიშინდება!

მღვდელს საქორწილო, საქურთხი

შიართვი დაწესებული,

რომ ვეღარ გისაყვეღუროს,—

მაშინ იქნები ქებული;

თუ მეტს დაიწყებს თხოვნასა,

იქამდინ გამოტვირდება,—

ღმერთი დიდია, ღარიბო,

ბული ნუ შეგიშინდება!

შალს ნუ აიღებ ვაჭრისგან,—

იმისი ვალი ძნელია...

თუ გაგიჭირდა, გვერდით გყავს  
შენივე მეზობელი.

ისევ მან ირგოს ცოტა რამ,—

შალი არ გაგიმსხვილდება...

ღმერთი დიდია, ღარიბო,

ბული ნუ შეგიშინდება!

პატივი ეცი ცოლ-შვილსა,

შენ ხარ იმათი პატრონი.

მათ ნუ გაიხდი ბატონად,

ნურც გაუხნები ბატონი.

ცოლმა თუ დაგიძაბუნა,—

ღა ზოგჯერ წავგვიღება,—

ღმერთი დიდია ღარიბო. ,

ბული ნუ შეგიშინდება!...



კერპია თედო, კერპია,  
 ბაუტეხელის გულისა:  
 მეუა კი არი, მშრომელი,  
 მექონი დიდის სულისა.  
 ეს სიღარიბეს არ უთრთის,  
 მაჯის იმედით სრულია,  
 აბრძვის შავს მიწას დღითიდღე,  
 ჯადისგან მოქანცულია.  
 ხებისა არ უნდა თედოსა,  
 მოძმეს არ შეეცილება,  
 ცის რისხვას, ბატონის წყრომას  
 ძედმობრით ემორჩილება.  
 ღღეს უქმე არის, თედო  
 წამოწოლილა ჩრდილშია;  
 უქმეა, უფლის დღე არის,—  
 შიქრშია, განა ძილშია!?.  
 ჰფიქრობს: „სამის დღის ყანა მაქვს,  
 მრის დღის ქერი, სიმინდი,  
 ნაოშიც ორიოდ დღისა,—  
 დაუდგათ კარგი ამინდი;  
 ვენახს მისხია რიგიან,  
 ლობიოც გათონნილია,  
 არ მოცდენილა კაკალი  
 და არც მომცდარა ხილია...  
 ღვთის მადლით წელს კი მომივა  
 ნაშრომი, კირნახულია;  
 ბავყიდი ბლომად ღვინოსა,  
 მაშინ მექნება ფულია!..

ცალად მყავს ლომა, ვუყიდი  
 მეუღლეს ურმის თავშია,  
 უღლის ხაზს თათრულს ვიყიდი,  
 ბაუებამ საყვეარშია“...  
 მზე იკბინება, ლაქვარდს ცას  
 არ უჩანს იალ-კიალი,  
 ქოლო დაბზუის, გასწივის  
 და ისუსხება ტიალი!  
 მაგრამ, ჰა!.. შახე, გამოჩნდა  
 მეშტის ოდენა ღრუბელი...  
 აგერ გადიდა, ჩაშავდა,  
 იძაბვის, როგორც წურბელი...  
 შეცრად ქარმა დაჰქროლა,  
 ღრუბლიდგან დაიგრიალა,  
 იელა, გამოიკლაკნა,  
 ბამოიჭექა ძლიერა;  
 წამოუშინა სეტყვამ,  
 მრისხანედ დაიხრიალა,  
 ვენახი, ყანა, ხეხილი  
 დათრგუნა, გაატიალა!..  
 თედომ იფიქრა—ღმერთს სცოდა  
 და სეტყვა გადაიმტერა,—  
 ცრემლი მოადგა თვალშია,  
 პირჯვარი გადაიწერა!..  
 კერპია თედო, კერპია,  
 ბაუტეხელის გულისა;  
 მეუა-კაცია, მშრომელი,  
 მექონი დიდის სულისა!

სხვისი არ უნდა შედოსა.

მომგეს არ შეეცილება,

ცის რისხვას, ბატონის წყრომას

ძედმობრით ემორჩილება!..

მს სიღარიბეს არ უღრობის.

მაჯის იმედით სრულია,

მბრძვის შავს მიწას დღითიდღე,

ჯაფისგან მოქანცულია!..

## შ ე ი დ ნ ი ე ა რ თ

(აზრი რუსულიდან).

წინ შემეჩება გოგონა, ტურფა, თმახუკუჭიანი;

რვა წლის თუ იყო ბალანა, სახემეტყველი, ჭკვიანი.

რომ დამინახა, შეჩერდა, ღიმი უკროდა პირზედა;

სულაც არ შეკრთა, იცდიდა იქვე გზის განაპირზედა.

მაშინ სოფლელი ჩითკაბა შევნოდა, როგორც ველია!..

წინ წავდეგ მისაფერებლად, თმაზედ გადავუსვი ხელია;

მერე წყნარის ხმით და ტკბილად შევკითხე ალერსიანად:

—ნეტა და-ძმანი თუ გყვანან? სულ რამდენი ხართ ძმიანად?

—შვიდნი ვართ!—მითხრა—ბატონო: ორი გემზეა ზღვაშია,

ორნი სოფლებში წავიდნენ, სამუშაოზედ მკაშია,

ორნი და-ძმანი დავმარხეთ,—იავადმყოფეს მწარედა!..

პრთიც მე, დედასთანა ვარ... დიაღ, შვიდნი ვართ სწორედა!..

—რას ამბობ, გოგო? თუ ორნი თქვენ მიწას მიაბარეთა,

ხუთნი ყოფილხართ მაშ ეხლა ყველანი—შინ და გარეთა?..

—პრა, დედას მზემ, ბატონო!.. შვიდნი ვართ სწორედ და-ძმანი:

ორი აქ ასაფლავია... ერთი მე, ოთხნიც ხომ სხვანი?...!

—ჰიდევ!.. ვერ მივხვდი, მგონია?.. აბა რას ამბობ, დიაღ?..

ხუთნი ყოფილხართ, თუ მართლა ორი აქ ასაფლავია.


—შვიდნი ვართ, ძიაღ, დედას მზემ!.. ვერ მიგახვედრე?.. რა მომდის?!..

სულ ათი ბიჯი არ არის ჩვენიდგან სასაფლაომდის!..

მე იქ ზაფხულში წინდას ვქსოვ, ვზივარ და ვუმღერ და-ძმასა!..

მთვარე გვინათებს ლამაზად, სხვა ძმები ჰხიდვენ შინ ძნასა!..

ზოგჯერ ყველს და პურს მოვიტან, იქვე ვებმ ტკბილად ვახშამსა,  
ხან იქვე წამოვუწვები და მივიძინებ ერთს წამსა...  
ჩემი დაია ძველა, ავად რომ განდა, იწვალა...  
მოგვშორდა, მორჩა ტანჯვასა, იმას უშველა შუფალამ...  
ღვასაფლავეთ... როცა რომ ამწვანდა ბალი და ველი,  
თან წავიყვანე ტიტოკო და ძველასთან მიველი...  
იქ ვითამაშეთ, ვიცელქეთ, იები ვკრიფეთ მთელ დღესა...  
ღაზამორდა,—ტიტოც მოგვიკვდა, გვერდთ მოვუწვინეთ ძვეცსა!..  
—მაშ რამდენი ხართ, პაწიაე?.. ორნი თუ ზეცას არიან?..  
ხუთნი იქნებით თქვენ ეხლა, რომ ჩაუფიქრდე გვარიან...  
—არა, ბიძიაე, შვიდნი ვართ... არ მოკვდეს ჩემი თავია!..  
—ხუთნი იქნებით, გოგონაე, ორნი თუ ასაფლავიან!..  
—რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე?—იძახდა:—თუ მწამს ლმერთია...  
შვიდნი ვართ, შვიდნი, დედას მზემ, ყველა და-ძმანი ერთიან...



# სიტყვების განმარტება.

**ჯამთარი** (გვ. 36). **ლეგა**: ყომრალი, მრეში, ნაცრის-ფერი; **ბინდი**: შეღამება, საღამოს—მზის ახლათ ჩასვლის დრო. ხოლო დილას—მზის ამოსვლის დაპირებისა; **თოვლი ამებლარდნა** (ბლარდნა. ბლარდნილი): თოვლმა დამბურა; **წამობარდნა** (ბარდი—მწირფოთ-ლიანი ბუჩქი): სხელი და ხშირი თოვლი წამოვიდა, სხელი თოვა დაიწყო; **აკანათი**: ფრინველთ საქერი მახე, ჩხირზე ძუით მოწყობილი; **ლასტი**: მახე-სარგვევი, წნელებისაგან ფართოდ დაწული—კარბიანი, წვრილი ჩიტების—განსაკუთრებით ბელურების დასაქურათ მოწყობილი; **ციგა**: მარბილივით, გამაგრებულ თოვლზე სასრიალებელი ფიცარი; **კობი**: კოკოცი, დაქვევის გამო აბურთებული ხორცი.

**დედა-მნა** (37). **მლილი**: ჩრჩილი (მწერი); **ფუმფულა**: ჩვილი მწერი. **ალღომა** (38). **კელაპტარი**: დიდი საეკლესიო სანთელი; **ლიტანია**: ლოცვის დადასისით ეკლესიის გარშემოვლა (მაგალ. აღღომა).

**ჯაფხული** (38). **ანეული**: გაზაფხულის ნახნავი; **ქედანი**: გარეული ტრედი; **ნაშჯა**: მომკილი პური; **მეთაური**: მკის დროს მამითადის (ნადის) ხელმძღვანელი მუშა; **პაპანება** (პაპანაქება, პაპანაქი): ჰეტათ ძლიერი სიციხე, ალმური; **ჰოოპუმა** (ჰოოპუნა): მუშური სიმღერა მკის დროს (შეძახილის „ჰოოპ-ჰოოპის“ დატანებით); **ულო**: ძნის შესაკრავთ ერთმანეთზე გადაბმული პურის-ღეროები; **წვრილ-ფეხობა**: ბავშები.

**რთველი** (39). **ჯაგანი**: დაწირებებული (დაგრებილი) წყვლით გინა წვრილი ბაწრით ან კანაფით აცმული ყურძნის ტვენები—ზამთარში შესანახავთ; **აკილო**: ჯაგანივით, წნელით ერთად შებმული (აკიდებული) ყურძენი ან სხვა ხილი; **კრჩხა** (ქრჩხა, გრჯლა): კაპებიანი ჯოხი; ბევრტოტიანი ვახი, რომელზედაც რამდენიმე ტვენია მობმული (რამდენიმე ამისთანა ტოტი ერთად—ზამთრისათვის შესანახავთ).

**სამშობლო ხმავსრისა** (40). **ჯიხვი**: გარეთხა, დიდ-დაგრაგნილ-რქებიანი (ჯიხვის ყანწები); **არჩვი**: შევლს ჩამოგავს, ძაგკასიის მთებს გარდა განსაკუთრებით ბზიასა და აფრიკაშია მრავლათ; **ანდამატი**: ლათინური ენით აღმასს ნიშნავს, მაგრამ ქართულათ „მანდიის“ მნიშვნელობითაც იხმარება, როგორც, მაგალ., ამ ლექსში.

**ნება რას სტირი, დეილო** (41). **ხირიმი**: ერთგვარი სისტემის შორსმსროლელს კაეიან თოფს ეწოდება; **შილა**: წითელი ქსოვილი; **დელო**: იგივე დლე; **შიოტა**: შემარცვლებიანი მცენარე. პურის ყანაში იცის და მისი მარცვლები, პურში თუ გაერია, მვენებელია; იმერეთში **კვარკვალიტას** ეძახიან.

8. **ძალი-აჰჰანა** (43). **ქუფრი**: ბნელი, მოშავო; **უზრახა** (ზრახვა—საუბარი, ლაპარაკი): გაესაუბრა, გამოელაპარაკა, უთხრა, თავისი განზრახვა (ფიქრი) გაუზიარა; **ძოდანდელებრივ** (ძოდან—წოდან, ამას წინათ): წოდანდეღვივით, წოდანდეღვის მზგავსათ.

9. **თინიას მამითადი** (44). **მამითადი**: ნადი, რამდენიმე მომხმარე მუშა; **ციბრუტი**: ჩქარა სატრიალებელი ბურღი; **მეხრე**: კაცი (უფრო ხშირათ—ახალგაზდა, ყმაწვილი), რომელიც ერქვანში (გუთანში) ერთერთ უღელს აზის და გუთნის ხარ-კამბეჩებს შოლტით მიერეკება; **ნაოში** (ოშვა, დაოშვა—დახენა): ნახნავი, დამუშავებული, ნამუშავერი მიწა; **საკუტნაო**: პაწია ოთახი, სანოვავისა და საოჯახო ნივთების შესანახავი.

**ჩანჩპარი** (47). **სპეკალი**: საზოგადოთ თვალი პატროსანი, აქ კი—თვალმარგალიტივით მშვენიერი, ბჭყვრიალა ცვრები.

**ვისჰვილი** (48). **დოლაბი**: დიდი წისქვილის-ქვა; **ვარცლი**, **კრიჭა სარეკელა**:—წისქვილში დოლაბის ზემოთ თავფართო და ბოლოვიწრო კურტეულია მოწყობილი, რომელშიც დასაფქვევ ხორბალს თუ სიმიდს ყრიან ხოლმე და რომელსაც **ხვიშირა** ეწოდება; ხვიშირას ვიწრო ბოლოზე ხის მოკლე ღარია მოწყობილი, რომელსაც **ვარცლი** ქეია და რომელშიც ხვიშირიდან დასაფქვავეი მარცვლი ცვივა ხოლმე; **ვარცლზე** ორი კუთხეთ გადაბმული ჯოხია მიკრული, რომელთაგანაც ერთის თავი დოლაბზე ძეგს, და რაცა დოლაბი ბრუნავს, ამ ჯოხს ანძრევეს, ჯოხი ვარცლს აზანზარებს და საფქვევ მარცვლებს ვარცლიდან კრიჭაში, ე. ი. ვარცლის ვიწრო პირში და მერე დოლაბის პირში, **მიერეკება** (ამიტომაც ამ კუთხედ ჯოხს **სარეკელა** ეწოდება); **კუტნა**: მცირე, პაწაწკინტელა.

**გუთანი** (49). **გუთანი**: იგივე **ერქვანი**, ე. ი. მიწის სახნავათ მოწყობილი იარაღი, რომელიც ძართლ-ძახეთში იხმარება; შიგ რამდენიმე უღელი (ყვეარი) ხარ-კამბეჩია გაბმული, რომ ღრმათ მოხნავს; **გუთნის-დედა**: გუთნის მართეფლი, გუთანს რომ ეკიდება და ხნავს; **ღირღიტა**: გუთნის მეორე—მცირე გოგორა; **საკვეთი**: მოკძო, დანასავით მკერულპირიანი რკინა, რომელიც სახნისს გვერდით ახლავს და რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ, რაც წინ ძირი ან მზგავსი მაგარი სხეული შეხედება, მოსტრას ხოლმე და მით თავისუფალ ხენას ხელი შეუწყოს; **ფრთა**: სახნისის მახლობლათ გუთანს ხის ფრთა აქვს გაკეთებული, რომლის დანიშნულცაც ის არის, რომ ნახნავის ბელტები გადააწვიონს ხოლმე; **ჯამბარა**: მკელი და ფართო ლედი, რომლითაც თავიდან ბოლომდე გაჭიმულაა ერქვანი (სახნავათ მოწყობილი გუთანი);

**კაჭაპი:** ხმელი შამპის (მალალი ბალახის) ღერო; **ყამირი:** დიდა ხნის დაუნხავი და ამიტომაც ძნელი სახნავი მიწა; **ოროველა** (ჰოროველა, ოროველა): მუშური სიძლურა ამერთში.

**ლამის მხარე** (50). **კოტი:** ლამის ფრინველი, ბუს მონათესავე და მისი მზგავსი; **ეული:** უმიწაწყლო, უბინადრო; აქ კი—გამარტოებული, მართოთ მიტოვებული, უპატრონო; **ზარიპარია:** საღამოს ვარსკვლავი; **ნაბული** (ნაბეა, განაბეა): შეშინებული; **ალო:** გუთანში (ერქვანში) ხშირათ რამდენიმე მონაწილე შედის, მაგალ. გუთნის-დედა, მგბრე, ხარ-კამბეჩის პატრონები,—და ანგვართ შემდგარი გუთანი თითოეულ მონაწილეს იმდენს უხნავს ხოლმე, რამდენიც ერგება მისი შრომისა თუ ხარ-კამბეჩის მიხედვით; თითოეულის წილს **ალო** ეწოდება.

**ბატიას მოთქმა** (51). **ბურჯი:** დედა-ბოძი, საძირკველი; **ანაზდეული:** უცებური, მოულოდნელი.

**ბერუს ჩიმილი** (51). „**რიგისთვის**“ აღებული ფული: ამერთში გლეხობა, ფულს რომ სესხულობს, ვალის ანგარიშში მოსავლის განსახდვრულ ჰირანხულს აძლევს ხოლმე—და ამას ეწოდება „რიგის ფული“; **ვაზში:** ვალის სარგებლის სარგებელი, გადაჭარბებული სარგებელი, სამძიმო პირობით აღებული ვალი; **შითთახი:** შარი, ცილა, ცილისწამება;—მიშილთახა—შარი მომღვა (მიშარა); **ხინხილა:** წიწილები, ბარტყები; **ხინხილა გამომილიაო,** ე. ი. ძირიან-ფესვიანათ ამომავდო, დამახოლო.

**ალეზი** (52). **ჰუანტი:** ჰაობი; **ბაყაუჰამია:** ყანჩას ასე უწოდებენ ამერთში; **ოლოლი:** ხარნაშო (ლამის ფრინველი, კოტისა და ბუს მონათესავე); **ბაიყუში**—იგივე ბუ; **ლიტინი:** ხიცინი, ხიჩინი (ჩქმეტასავით); **წნორი:** გარეული ტირიფი; **ლიკი:** ბრწამლი (იპერუღათ ეკალა).

**საბრუს სახლპარობა და შექლება** (54). **ჩაღხანი,** ჩაღხანა: კარ-დალა, მცირე ჰეობი; **ქოცო:** ქოთანი; **ქოსმენი:** სასუქი ღორი; **სათარი:** ნალო, ტყიდან „მოთრეული“ შეშა; **დაგურგურება:** აგზიგზება, აგზნება, ანთება, ძლიერი ცეცხლის გაჩაღება; **ჩული:** ცუდი სახურავი (ქეჩასავით).

**რას შემომცემარი, მოსობილო** (55). **დაკორძებული:** კორძებიანი, დაკორძებული, დაბეილი; **საბუხარი:** სამაჯური, ხელსაცვამი.

**მევენის სიმღარა** (56). **ჰიგო:** ვაზის სარი; **შეყელვა:** ვაზის შესარვა, ჰიგოების მისობა; **გაფურჩქნა:** ზედმეტის, უნაყოფო ყლორტებისაგან ვაზის გაწმენდა.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


გვერდი

რატ. მრისთავის ცხოვრება

1

## რაფიელის პოეტური ნაწერები:

1. სამშობლო	7
2. ხალხოსნური მიმართულება	13
3. ხალხის ეკონომიური ჩავერის მიზეზები	14
4. ხალხის ნუგეში	18
5. ხალხური კილო და ხალხის ზნეჩვეულება რ-ლის ლექსებში	24
6. რაფიელის საყმაწვილო ლექსები	27
7. რატ. მრისთავი და ძალცოვი	23
8. რატ. მრ-ის რჩეული ლექსები	26—60
9. სიტყვების განმარტება	61



## შმთავრდისი შმცთოშმები.

დამეჭდილი:

გაერთიანებული (გვ. 11)

დარიბ ქოხში (22)

სახსნის-საკვეთო (25)

უნდა იეოს:

გაერთიანებული

დარიბ ქოხში

სახსნის-საკვეთო

ქართულ ტერატურის სასყდამდვანელოები

აზაზი ავტორისა -

დაბეჭდილია:

1. ნიკ. ბარათაშვილი
2. ბრ. მარბელიანი
3. ვახტ. მარბელიანი
4. რას. მისიძე.

შეადგენა დასაუქდათ:

1. აკაკი წერეთელი
2. ილია აბაქაძე
3. შოთა რუსთაველი და სხვ.

დას. 11 მაური.

89